F75/2 № 13831

ვათი. 1 ივლისი

ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის·თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24, მეორე სართული, ტელეფონი 10—13.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 1 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 148 (1303)

[illegible]
— [illegible]
— [illegible]
— წყალდიდობამ პოლონეთში დიდი ზარალი მოიტანა.
— 5 ივლისს პარიზში გაიმართება [illegible] კონგრესი.
— საფრანგეთის სოც. პარტიის ცალკე ორგანიზაციები მოითხოვენ უარის თქმას პენლევეს მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე.

Библиотека
БИБЛИОТЕКА Музея Рев. Грузии
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გალურ კონტრ-რევოლუციის საშიშროების შესახებ

[illegible] უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მოსკოვის ერთ-[illegible] მრავალრიცხოვან კრებაზე, ამხ. [illegible]მა, სხვათაშორის, შემდეგი [illegible] ჩვენი სოფლად მუშაობის [illegible]:

„[illegible] არაა იმაში, რომ საბჭოების [illegible] ლოზუნგით ჩატარებული არჩევნები ნიშნავს სოფლის [illegible] სარჩევნო აგიტაციის თავისუფ[illegible] ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, [illegible] ანტისაბჭოთა ელემენტები არ [illegible] ასეთ მოხერხებულ შემთ[illegible], რომ გაძვრენ ახალ [illegible] და ერთხელ კიდევ შეუტიონ [illegible] საბჭოთა ხელისუფლებას. [illegible] წარმოიშობა სოფლად ანტი[illegible] აგიტაციის გაძლიერების [illegible] გამტკიცების საშიშროება“.

[illegible] ჩვენს წინაშე კიდევ ერ[illegible] ამოცანა ისმება, [illegible] გადაჭრაც იშვიათ სიფრთხილეს და წინდახედულებას ითხოვს. [illegible] საბჭოთა მიდრეკილების გაძ[illegible] საქართველოს პირობებში [illegible] რეალური საშიშროებათ უნდა [illegible], როცა ლაპარაკია ფართო საბჭოთა დემოკრატიაზე, ვიდრე [illegible] კავშირის რომ[illegible].

[illegible] დაბრკოლებები [illegible] წინ საქართველოში მუ[illegible] ხელისუფლების [illegible]. [illegible] იმას დავივიწყ[illegible] ქართველი ხალხი, რამ[illegible] წლის განმავლობა[illegible] პარტიის გავლე[illegible] იმყოფებოდა, რომელმაც [illegible] აგვისტოს ავან[illegible] და რომელიც დღეს მშრომ[illegible] სრულიად გარი[illegible], მაინც არ იშლის საბჭოთა [illegible] წინააღმდეგ ჩხირკე[illegible]ობას.

[illegible] კომუნისტურ პარტიის პო[illegible], ეკონომიურად შევიწროე[illegible] ელემენტი [illegible] საბჭოთა ხელისუფ[illegible] მუშაობის დარგში, [illegible] ქურქში გამო[illegible] ხალხისვე საზა[illegible] საქმის გაკეთებას.

[illegible] არ უნდა, რომ მენშევიკური [illegible] სხვა პოლიტიკურ ჯგუ[illegible], რაც უნდა მომხიბ[illegible] და თვალწარმტაცი არ იყვეს [illegible] აუხვევს დღეს თვალს [illegible] გლეხს და მუშას. ჩვენი [illegible] და ქალაქი ამ თითქმის [illegible] წლის განმავლობაში იმდენად [illegible] პოლიტიკურად და რევო[illegible] შემოქმედების იმდენი [illegible], რომ ის ადვილათ გა[illegible] შავს და თეთრს. ამის დამამტ[illegible] მაგალითი მოგვცა საბჭოთა [illegible] არჩევნებმა, სადაც ფარ[illegible] მასა, მიუხედავად არჩევნების [illegible] თავისუფლებისა, დიდი თა[illegible] ეძლეოდა კომპარტი[illegible] კანდიდატებს და თვითონვე [illegible] ჩვენი რიგების არასაი[illegible] ელემენტებიდან გაწმენდაში. [illegible] აქ უმთავრესად იმა[illegible] მდგომარეობს, რომ მტერი მოვა [illegible] მოყვრის სახით, საბჭოთა [illegible] გახვეული. ამიტომ განსა[illegible] სიფრთხილე სწორედ აქ [illegible] საჭირო.

როგორ უნდა გაარჩიონ აქ [illegible]ლის მუშაკებმა მტყუანი და მართალი? როგორ უნდა იმოქმედონ მათ, რომ გულზე ხელი არ კრან, და საქმეს არ ჩამოაშორონ მშრომელი გლეხების ის ნაწილი, რომელშიაც დიდ გამოძახილს ჰპოებს საბჭოთა ხელისუფლების ახალი პოლიტიკა და, რომლებიც კეთილი განზრახვით, წრფელი გულით მოდის ჩვენთან სამუშაოთ?

ეს კითხვა არც ისე ადვილი გადასაჭრელია. აქ შეიძლება მეორე უკიდურესობასაც დაურჩეს ადგილი. კონტრ-რევოლიუციონერის, ხალხის მტრის სახელით, ადვილი დასაშვებია. თვითმოქმედების ჩაკვლა და მუშაობიდან ჩამოშორება სოფლის იმ ელემენტების, რომელიც კრიტიკული თვალით უყურებს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს და რაიმე წუნს სდებს მათ მუშაობას.

თქმა არ უნდა კრიტიკაც არის და კრიტიკაც. საქმიან და კეთილგანწყობილი რჩევა-დარიგების გვერდით ადგილი აქვს მტრულს და საქმის საზიანოთ მიმართულ კრიტიკასაც. მაგრამ ჩვენამ შემთხვევაში ამაზე არ ვლაპარაკობთ. საკითხი აქ ეხება რევოლიუციის სახელით მეგობრულ კრიტიკის დევნას.

ამნაირი მაგალითებით კი მდიდარია ჩვენი წარსული და არც დღეს წარმოადგენს ის იშვიათ მოვლენას ყოველდღიურ მუშაობის პრაქტიკაში.

ამიტომ პირველ და აუცილებელ პირობათ, სოფლად სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების არასაიმედო ელემენტებისაგან დასაზღვევის საქმეში, უნდა ჩაითვალოს საკითხისადმი კლასიური საზომით მიდგომა.

ხელისუფლება თავის ახალი პოლიტიკით მიზნათ ისახავს საბჭოთა ფართე აღმშენებლობაში ღარიბ გლეხობასთან ერთად საშუალო შეძლების გლეხობათა [illegible]. პარტიის და სახელმწიფოს ახალი კურსი არამც და არამც არ შეიძლება გაგებულ იქნას იმ მხრივ, რომ ვისმე აზრათ ჰქონდეს სოფლის შეძლებულ ელემენტებთან დათმობაზე წასვლა.

ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მაგრამ ამით ხელიდან არ გაგვიშვია სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვა გამგეობის სადავე და არა თუ პოლიტიკური, არამედ ეკონომიურ ორგანიზაციის შესაძლებლობაც არ შეგვიქმნია ეგრედ წოდებულ ახალ ბურჟუაზიისათვის.

თუ ეს შესძლო ხელისუფლებამ ქალაქათ, მით უფრო შესძლებს ის მას სოფლად.

გარდა ამისა ჩვენი ახალი კურსი სოფლად მუშაობაში ოდნავადაც არ გულისხმობს იმას, რომ პარტია უარს ამბობდეს თემალმასკომების, კოოპერატივის, გლეხკომის და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელობაზე. პირიქით ეს ხელმძღვანელობა მასის თვითმოქმედებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს და ძლიერდებოდეს.

ეს მეორე და უტყუარი საწინდარი იქნება სოფლად ანტისაბჭოთა ელემენტების ასალაგმავად და ლეგალურ კონტრ-რევოლიუციის ფრთების შესაკვეცად,

ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ ჩინეთში მწვავე ხასიათს იღებს

ახალი სამხედრო გემების მისვლა კანტონის ნავთსადგურში. იაპონელებმა დესანტი გადმოსხეს კანტონში. საპროტესტო მოძრაობა მოედო ჩინეთის თითქმის ყველა მსხვილ ქალაქებს და პუნქტებს. პირველ ივლისს შანხაიში, პეკინში და ტიან-ძინში მიელიან დიდ დემონსტრაციებს.—ეწყობა სტუდენტთა არმია

გაფიცვა შანხაიში ფართოვდება.—ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები საპროტესტო მოძრაობის წინააღმდეგ.—ჩინეთის სტუდენტთა კავშირების მოწოდებები.—შანხაიში ჩავიდნენ იაპონიის მუშების წარმომადგენლები.—ინგლისის პოლიციამ გონ-კონგში დააპატიმრა საბჭოთა ნავთის სინდიკატის წარმომადგენელი.—ჩინეთის რკინისგზელთა მიმართვა ინგლისის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსადმი.—იაპონია ახალ სამხედრო გემებს გზავნის ჩინეთის წყლებში. ინგლისის კომპარტიის კამპანია ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში.—147 ჩინელი სტუდენტის გაძევება საფრანგეთიდან.—ამერიკელი პროფესორები ადასტურებენ, რომ სისხლის ღვრა შანხაიში უცხოელებმა მოაწყვეს.

საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება.

პეკინი. 29 ივნისი. კანტონში მომხდარ ამბებს მოჰყვა შანხაის მუშებს შორის ახალი აღშფოთების ტალღა. საგაფიცვო მოძრაობა მუშებს შორის ფართოვდება.

გაფიცვას შეუერთდნენ კალატოზები, გლუბერები, მუნიციპალური მუშები და მკინძავები, რომლებიც მუშაობენ უცხოელების წარმოებებში.

კონსულთა სხდომა

პეკინი. 29 ივნისი. შანხაიში შესდგა კონსულთა სხდომა, რომელმაც დაადგინა სამხედრო გემები დარჩეს შანხაიში, მაგრამ მუნიციპალიტეტს წინადადება მიეცეს გარეკოს დემონსტრანტები ისე, რომ ეცადოს არ მიმართოს იარაღს.

ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები საპროტესტო მოძრაობის წინააღმდეგ.

პეკინი. 2[illegible] ივნისი. ჩჟან-ცზო-ლინის ჯარები, რომელთა რაოდენობა შანხაიში უდრის დაახლოვებით 4 ათას კაცს, დღითი-დღე მეტ წინააღმდეგობას იჩენენ საპროტესტო მოძრაობის მიმართ.

დემონსტრაციები და მიტინგები აკრძალული იყო 25 ივნისსაც, რომელიც გამოცხადებული იყო ეროვნულ მგლოვიარობის დღეთ. ადგილები, რომელიც არჩეული იყო მიტინგების გასამართავად, [illegible] ჩჟან-ცზო-ლინის ჯარების რაზმებს. [illegible] კლუბი დაკეტილი იყო და ეჭირათ ჯარებს.

სასტიკი პროფესიონალური დისციპლინა.

პეკინი. 29 ივნისი. ვაჭრების გაფიცვის გამო, პროფკავშირთა საბჭომ შანხაიში გამოაქვეყნა ცირკულიარი, რომელიც უკრძალავს მუშებს მუშაობის განახლებას საბჭოს წინასწარი ნებართვის გარეშე.

სტუდენტების სამი მოწოდება.

პეკინი, 29 ივნისი. სტუდენტთა კავშირების კონფერენციამ, რომელიც გაიხსნა შანხაიში, დაადგინა გამოაქვეყნოს სამი მოწოდება: მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, რომელშიაც განმარტებული იქნება, რომ ეხლანდელი მოძრაობა მიმართულია იმპერიალიზმის და არა საზოგადოთ უცხოელების წინააღმდეგ; მოწოდება ჩინეთის ხალხისადმი, რომ მან განაგრძოს გადამწყვეტი ბრძოლა; მიმართვა კანტონის მთავრობისადმი, რათა მან ძალით მოსპოს უცხოელების უფლებები კონცესიებზე და მოახერხოს ცალმხრივ ხელშეკრულებათა გაუქმება.

სტუდენტთა არმია.

პეკინი. 29 ივნისი. შანხაის სტუდენტთა კავშირების კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელსაც ევალება სტუდენტთა არმიის მოწყობის პროექტის განხორციელება..

ხელები შორს ჩინეთისაგან

ლონდონი, 27 ივნისი. ოცდაშვიდ ივნისს ინგლისის დიდ ქალაქებში კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაციები ლოზუნგით „ხელები შორს ჩინეთისაგან". დემონსტრაციებში აურიცხელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა.

საპროტესტო მოძრაობა ფართოვდება

პეკინი, 29 ივნისი. საპროტესტო მოძრაობა ფართოვდება და ვრცელდება სხვადასხვა ქალაქებზე.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მდგომარეობა კუ-ძუ-ხანგზე გამწვავდა და იქ მივიდა ინგლისის წყალქვეშა ნავი.

ფუჩოუში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია. ინგლისის კონსულმა ფუჩოუში სთხოვა ჩინეთის ადმინისტრაციას მიიღოს ზომები საკონსულოს დასაცავად.

ჩენ-ძინშიც რთულდება მდგომარეობა. იაპონელები გარბიან იქიდან.

შანხაიდან გონ-კონგში გაიგზავნა 234 რუსი თეთრგვარდიელი გაფიცულ ჩინელ მეზღვაურების ნაცვლად. მრავალი რუსი თეთრგვარდიელი მიიღის [illegible] შანხაის წყალსადენზე.

ჩინელ მებრძოლების სასარგებლოთ დახმარების შეგროვების აკრძალვა

ლეიპციგი, 29 ივნისი. [illegible] აკრძალა გამოსვლა [illegible] პარტიის წევრს, რომელიც მოგზაურობს გერმანიაში, ჩინეთის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების მოსაგროვებლად.

147 ჩინელ სტუდენტის გადასახლება საფრანგეთიდან

პარიზი 29 ივნისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით საფრანგეთიდან გადაასახლეს 147 ჩინელი სტუდენტი. გადასახლება გამოიწვია სტუდენტების მიერ შანხაიში საფრანგეთის რაზმების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის გამოქვეყნებამ.

იაპონელ მუშების წარმომადგენლები შანხაიში

პეკინი, 19 ივნისი. შანხაიში ჩავიდნენ იაპონელ მუშების წარმომადგენლები, რომელთაც იაპონიის პროლეტარიატის სახელით ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს კლასიურ ინტერესებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინელ მუშებს და განაცხადეს, რომ იაპონიის კავშირები სცდილობენ მოაწყონ ძლიერი საპროტესტო მოძრაობა [illegible] მთავრობის მიერ კანტონში ახალ სამხედრო გემების გაგზავნის წინააღმდეგ.

ინგლისის პოლიციის თავხედობა

პეკინი, 29 ივნისი. „რეიტერის" სააგენტოს ცნობით საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატის წარმომადგენელი და მისი ცოლი დაპატიმრებული იქნენ შანხაიში გემი „მანუტა"-თი ჩასვლის შემდეგ.

რამდენიმე დღის წინათ დოსერი გაეგზავნა შანხაიდან კანტონში საქმეების გამო, მაგრამ გონკონგის პოლიციამ გემიდან გადმოსვლის ნება არ მისცა და დააბრუნა უკან შანხაიში, სადაც ის დააპატიმრეს ვითომდა ბოლშევიკურ აგიტაციისათვის.

მოსალოდნელია დიდი დემონსტრაციები და მიტინგები

პეკინი, 29 ივნისი. 1 ივლისს სრულდება ერთი თვე შანხაიში მუშების დახვრეტის დღიდან. ამის გამო შანხაიში, პეკინში და ტიან-ძინში მოელიან დიდ დემონსტრაციებს და მიტინგებს.

სპეციალური სამხედრო სკოლა.

პეკინი, 29 ივნისი. ამერიკულ გაზით „ნორდ ჩაინა სტარის" ცნობით ფინ-იუ-სიანმა გადასწყვიტა დააარსოს სპეციალური სამხედრო სკოლა არმიისათვის პოლიტ. [illegible] შეგნებულ ოფიცრების მოსამზადებლად. მრავალმა სტუდენტმა განაცხადა სურვილი სკოლაში შესვლის შესახებ.

იაპონიის ფლოტი ჩინეთის წყლებში.

ტოკიო, 29 ივნისი. იაპონიის ფლოტი ჩინეთის წყლებში გაძლიერებული იქნება ერთი კრეისერით [illegible] 10 გემისაგან შედგ[illegible] ფლოტილია საკმარისად არ მიაჩნიათ.

ინგლისელების ცენზურა

პარიზი. 29 ივნისი ჩინეთის ტელეგრაფის სამმართველოს უფროსის ცნობით, გონ-კონგის ადმინისტრაციამ ცენზურა შემოიღო ტელეგრაფზე. ახალი დეპეშები კანტონიდან არ არის მიღებული. რეიტერის სააგენტო მხოლოდ გონკონგიდან იღებს ცნობებს.

კანტონის პროფესორების მოწოდება

პეკინი. 29 ივნისი. ქრისტიანულმა უნივერსიტეტმა კანტონში მიიღო [illegible] შედგენილი მოწოდება კანტონში ინგლისელების მიერ მოწყობილი სისხლის ღვრის წინააღმდეგ. მოწოდება, ხელმოწერილი [illegible] პროფესორების მიერ [illegible], რომ [illegible] უცხოელთა ჯარებმა [illegible] გამოიწვია, გონკონგში მიღებულია [illegible], რომ [illegible] პროფესორებმა ამ განცხადებაზე და [illegible] თავისი ხელისმოწერა.

მდგომარეობა შანხაიში.

პეკინი, 29 ივნისი. ჩინელთა დუქნები და ბანკები შანხაიში თახდათან იხსნება. სავაჭრო პალატა დაპირდა პროფკავშირების წარმომადგენლებს, რომ ის გაფიცულ მუშებს ყოველკვირეულად მისცემს 800.000 დოლარს.

განსაკუთრებული გაცხოველება ეტყობა უცხოელთა ბანკებს: ჩინელებს უკან მიაქვთ ანაბარები და ბანკნოტებს ვერცხლზე ახურდავებენ. დაახლოვებით, თვითეულმა უცხო ბანკმა უკვე გადაიხადა 2 მილიონზე მეტი დოლარი ვერცხლით.

საერთოდ, დამოკიდებულება უცხოელებ[illegible]ადმი მტრულია. ასე მაგალითად, ტრამვაის ვაგონებს ხშირათ აჩერებენ და იქიდან აძევებენ უცხოელებს. მთელ რიგ ინციდენტების შემდეგ ტრამვაის ვაგონებს მიუყენეს მოხალისეთა შეიარაღებული რაზმები.

ჩინეთის მთავრობის მოთხოვნილებანი.

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. კანტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, შამინში (უცხოელთა უბანში კანტონში) ჩავიდა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებები: ბოდიშის მოხდა ინგლისის და საფრანგეთის ელჩების მიერ და მათი გაძევება; უცხოელთა გემების გაყვანა; შამინის ტერიტორიის დაბრუნება ჩინეთისათვის; დახოცილთა ოჯახ[illegible]; ბოდიშ[illegible] გემების [illegible]

[illegible]რად.

პეკინი, 29 ივნისი. რეიტერის სააგენტო [illegible] გონკონგში [illegible] მდგომარეობის შესახებ.

ჩინელების [illegible] გაფიცვის [illegible] შეასრულონ სხვადასხვა სამუშაოები. მაღაზიები მოხალისეებად არიან ჩაწერილი სპეციალურ პოლიციაში; ამას გარდა ისინი ეწევიან ყასბების, მეფურნეების მაგიერობას, ასრულებენ სხვადასხვა მოვალეობას. ქალები განაგებენ საერთო სამზარეულოებს და ზოგჯერ ეწევიან კლუბების მოსამსახურეების მაგიერობას. ბოისკაუტები კისრულობენ დეპეშების დამტარებლების მოვალეობას და ასრულებენ სხვა ასეთ სამუშაოს.

მდგომარეობა კანტონში გამწვავდა

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. კანტონში ჩავიდა საფრანგეთის ნაღმოსანი „მარია", რომელმაც გადმოსხა ახალი დესანტი. ამჟამად ნავთსადგურში 14 ნაღმოსანი დგას. უცხოელი მოხალისეები ამაგრებენ შამენს (უცხოელთა უბანია კანტონში) მდგომარეობა ძალიერ გამწვავებულია.

ბერლინში ჩინეთის საელჩოს პროტესტი

ბერლინი, 29 ივნისი ჩინეთის საელჩომ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა საპროტესტო ნოტა ბერლინში იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მიტინგზე სიტყვებით გამოსულ 18 ჩინელ სტუდენტის დაპატიმრების გამო. ჩინეთის საელჩო მოითხოვს პოლიციის მოხელის ხენიგის მიცემას პასუხისგებაში.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ლონდონი, 29 ივნისი. შეკითხვამ, რომელიც მოახდინა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ინგლისის მოღვაწეებს შორის, გამოარკვია, რომ ეს წრეები სცდილობენ შეასუსტონ ბირკენჰედის, ხოგგის, ხიქსის და რეაქციონური პრესის იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომელიც ეხება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის, ჩაშლას. ამ კამპანიას აფასებენ, როგორც კონსერვატიული პარტიის შეურიგებელი ელემენტების ცდას გავლენა მოახდინონ თავის კოლეგებზე გარედან. სამ მინისტრს, რომლებიც გამოვიდნენ მკაცრი სიტყვებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სთვლიან კაბინეტის ყველაზე უფრო უპასუხისმგებლო წევრებათ, რომლებსაც არავითარი გავლენა არ აქვთ თავის კოლეგებს შორის.

ხოჯსონის განცხადება საქართველოს შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო „იზვესტია"-ში, ისეთივე ხასიათისაა, როგორც მისი მოხსენება, რომელიც მან წარუდგინა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს და ამ უკანასკნელის დუმილს პოლიტიკურ წრეებში სთვლიან როგორც დამამტკიცებელ საბუთს იმისას, რომ მას არ სურს გადადგას საჩქარო ნაბიჯები საბჭოთა მთავრობის მიმართ.

საკითხი ორივე ქვეყნის ურთიერთობის შესახებ, ალბათ, დისკუსიის მთავარი საგანი იქნება კაბინეტში. მაგრამ, მუშათა პარტიის წრეებში არ ფიქრობენ, რომ ამ ჟამათ მთავრობამ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც შედეგათ მოყვება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა და იმავე დროს აგიტაციის გაძლიერება მუშათა მორის.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მოწესრიგება

ბაქო. 30 ივნისი. 30 ივნისს ბელიასუვარში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ლაზარევი, წევრები—ისააკოვი და კუტირევი, მდივანი—ბაგიროვი და ტეხნიკური პერსონალი. საბჭოთა დელეგაცია უნდა შეხვდეს სპარსეთის დელეგაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დელეგაციის გამგზავრების დაგვიანება მოხდა არა ჩვენი დელეგაციის მიზეზით.

4 ივნისს ჩვენმა დელეგაციამ გაუგზავნა ნოტა სპარსეთის დელეგაციას, რომელშიაც სთხოვდა მას ჩამოსვლას ბაქოში, ვინაიდან ეს პუნქტი ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო მუშაობის დასაწყებათ.

ათი დღის განმავლობაში დელეგაციის არ მიუღია არავითარი პასუხი, რის შემდეგ გაგზავნილი იქნა მეორე ნოტა, რომელშიაც წინადადება ეძლეოდი სპარსეთის დელეგაციას დაუყოვნებლივ შესდგომოდა მუშაობას. ნოტაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ თუ რამოდენიმე დღის განმავლობაში საბჭოთა დელეგაცია არ მიიღებდა პასუხს, მაშინ ის გაემგზავრებოდა ბელიასუვარში.

რამდენიმე დღემ განვლო, სანამ მეორე ნოტაზე პასუხი მოვიდოდა. ამ პასუხში სპარსეთის დელეგაცია არ გამოსთქვამდა მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყების გარკვეულ სურვილს და ამავე დროს არაფერს ამბობდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ჩასვლის წინააღმდეგ ბელიასუვარში, სადაც იმყოფება სპარსეთის დელეგაცია.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულად, ვინაიდან სპარსეთის დელეგაცია სრულიად არ იჩენს მუშაობის დაწყების სურვილს, საბჭოთა კავშირის დელეგაცია მაინც მიემგზავრება ბელიასუვარში და ეცდება დაიწყოს მუშაობა, რათა სამუდამოდ გადასჭრას მთელი რიგი სადაო საკითხებისა.

ევროპის პროლეტარიატის თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მხარეზეა

პარიზი, 29 ივნისი. ბელგიის პროფმოძრაობის რევოლიუციონური უმცირესობა უშვებს თავის ორგანოს, რომელსაც ეწოდება „ერთობა". ორგანოს პირველი ნომერი შეიცავს რევოლიუციონური უმცირესობის პროგრამას: პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის დაცვა ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით; ბრძოლა იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს კომუნისტების გამორიცხვას პროფკავშირებიდან; ინგლისის და საბჭოთა პროფკავშირებისათვის მხარის დაჭერა; ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის; მუშათა მასებისათვის საბჭოთა რუსეთში არსებული მდგომარეობის და საბჭოების მნიშვნელობის განმარტება.

ამას წინად მოსკოვიდან ჩამოსული ლიბერსი—ბელგიის [illegible] დამხადებელ წარმოებების მუშათა კავშირის მდივანი, სწერს: „მსოფლიო ბრძოლა სწარმოებს ამ ჟამად კაპიტალსა და შრომას შორის—ნიუ-იორკსა და მოსკოვს შორის. მიუხედავად რეფორმისტების ცილისწამებისა, პროლეტარიატის თანაგრძნობა მოსკოვის მხარეზეა. საუკეთესო საშუალება ყოველგვარი გაუგებრობის გასაფანტავად—ეს არის საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ურთიერთობის დამყარება".

ფაშისტური მთავრობა საბერძნეთ

ათინა. 29 ივნისი. გენერალ პანგალოსის მთავრობამ მიიღო ფიცი პრეზიდენტის სასახლეში, რესპუბლიკანურმა კავშირმა უარი სთქვა მთავრობაში მონაწილეობაზე, უარის თქმას კავშირი ასაბუთებს იმით, რომ ის წინააღმდეგია იმ მეთოდების, რომლის საშუალებით სამხედრო ჯგუფმა გადასჭრა მთავრობის კრიზისი. თავის მხრივ მემარჯვენე ბლოკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პარლამენტში ისინი ხმას მისცემენ ახალი მთავრობის წინააღმდეგ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, გენერ. პანგალოსმა განაცხადა, რომ „არავითარი რევოლიუცია არ ყოფილა, არამედ მხოლოდ მთავრობის კრიზისი, რომელიც გადაიჭრა არმიისა და ფლოტის ძალებით". პანგალოსმა განაცხადა, რომ მისთვის არ არსებობენ პარტიები, არამედ მოქალაქენი, რომელთა ინტერესებს დაიცავს ის.

სასოფლო მეურნეობისათვის მანქანების მიწოდების საკითხი

I

[illegible] მეურნეობის აღდგენის [illegible] მნიშვნელოვან ნაბიჯს წარ[illegible] კოლექტიური და ცალკე [illegible] მეურნეობის მოწყობა სა[illegible] იარაღებით და მანქანებით. [illegible] ინვენტარი წარმოადგენს [illegible] ეკონომიურ ცხოვრების [illegible] ერთ-ერთ უმთავრეს [illegible]. მაგრამ წარმოების მაქ[illegible] შედეგების მისაღებად სა[illegible] შემდეგი პირობების ზედმი[illegible] დაცვა:

1. ისეთი მანქანების და იარაღების შერჩევა, რომელიც შეეფერება [illegible] ტიპიურ საწარმოო რაიონის ბუნებრივ პირობებს;
2. მათი კონსტრუქცია უნდა შე[illegible] თანამედროვე ტეხნი[illegible] გაუმჯობესებებს;
3. გლეხთათვის ინვენტარის მი[illegible] უნდა იქნას მოწყობილი [illegible] შეიძლება მარტივად, ჩქარა და [illegible] მიმწოდებელ ორგანიზა[illegible] მხრივ ზედმეტ ფორმალობის [illegible];

[illegible] ფასები უნდა იქნეს, [illegible] დაბალი და ხელმი[illegible];

[illegible] მანქანების და იარაღების შე[illegible] უნდა ხდებოდეს გრძელვადიანი [illegible] საშუალებით, რომელიც [illegible] იქნება სასოფლო მეურნეობის საწარმოო ბრუნვაზე და იგი (კრედიტი) უნდა იფარებოდეს მოსავლის პერიოდებში რამოდენიმე წ[illegible]ის განმავლობაში.

სოფლის მშრომელ მასებისათვის იარაღების და მანქანების მიწოდების თანამედროვე პირობებში არც ერთი ხსენებული პუნქტი ჯერ კიდევ არ სრულდება სათანადოთ.

ომამდე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მანქანები მოსდიოდა უცხოეთის ფირმებიდან, უმთავრესად, გერმანიიდან, და ამ ფირმების სათავეში იდგენ სპეციალისტები, რომელნიც მშვენივრად იცნობდენ ამიერ-კავკასიის სოფლის ბუნებრივ და ყოფა-ცხოვრების პირობებს. შესაფერ იარაღების და მანქანების შერჩევა ხდებოდა ყოველმხრივ პრაქტიკულ შემოწმების შემდეგ ფირმების საგანგებო ინსტრუქტორების და მონტიორების უახლოეს და აქტიურ მონაწილეობით.

ეს ინსტრუქტორები და მონტიორები მშვენივრად იცნობდენ თავის საქმეს და ადგილობრივ მცხოვრებთაც ასწავლიდენ მუშაობას და ინვენტარის ხმარებას—სრულიად უსასყიდლოთ. აღსანიშნავია, რომ იარაღების, განსაკუთრებით, გუთნების ყოველ ნაკლს, რომელიც მუშაობის პროცესში იჩენდა თავს, ფირმა დაუყოვნებლივ ასწორებდა ან გადაკეთებით, ან ახალი მოდელის შემუშავებით. ცნობილმა ფირმამ „საკამ" თუჯის ღერძები ყველა თავის გუთნებში შესცვალა რკინით, რადგან წვიმიან ნიადაგში თუჯი ჩქარა იმსხვრეოდა. ფირმა „ეკკერტმა" სპეციალურად საქართველოსათვის გააკეთა გუთანი ს. კ. № 1, რადგან მანამდე გავრცელებული გუთანი ს. კ. № 2 აღმოჩნდა ძალიან მძიმე და ძვირი.

აღნიშნულ ფირმების მუშაობას საფუძვლად ედო არა ჩვენი სასოფლო მეურნეობის საწარმოვო პროგრამა, არამედ კომერციული მიზანი, ე. ი. გაეყიდათ თავიანთი ქარხნების და ფაბრიკების რაც შეიძლებოდა მეტი ნაწარმოები, მიეღოთ მეტი მოგება და ხელში ჩაეგდოთ ჩვენი ბაზარი.

გლეხობა მაშინ ნაკლებად იყო გაცნობილი თავის მეურნეობაში გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების ხმარებას, მაგრამ მოვაჭრე ფირმები ყოველ ღონეს ხმარობდენ და არ ზოგავდენ ხარჯებს რეკლამებისათვის, რათა გაესაღებიათ სოფლებში თავიანთი მანქანები, იარაღები და ინვენტარი.

დღეს სოფლის მდგომარეობა სავსებით შეიცვალა; თუ წინად საჭირო იყო გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების თავზე მოხვევა, რჩევა და რეკლამები, ამჟამად გლეხები თვითონ აყენებენ დიდ მოთხოვნილებას ამ მანქანებზე და ძლივძლივობით კმაყოფილდება ამ მოთხოვნილების 10 პროცენტი.

საკმარისი იყო ტრაქტორის გაგზავნა ერთ სოფელში, რათა მასზე წამოეყენებინათ მოთხოვნილებანი თითქმის ყველა სოფლებს.

ამ მხრივ ამიერ კავკასიის გლეხი განსაკუთრებით შემთვისებელი აღმოჩნდა. ის ხარბად მიილტვის ყოველგვარ ტეხნიკურ და საწარმოვო საშვალებათა გაუმჯობესებისაკენ, მით უმეტეს, რომ ომის დროს სასოფლო-მეურნეობის მთელი ინვენტარი ან საბოლოოდ გაიცვითა ან დაძველდა.

ამავე დროს ჩვენში არავინ არ ზრუნავდა იმაზე, რათა შემოტანილი იარაღები და ინვენტარი ყოფილიყო შეფარდებული სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებას და ბუნებრივ პირობებს.

სასოფლო მეურნეობისათვის მანქანების და იარაღების მიწოდებას, როგორც შინაურ, ისე საგარეო ბაზარზე, ხელს ჰკიდებდენ ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც სრულიად არ იცნობდენ ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის პირობებს და საჭიროებებს და აგრეთვე არ ჰყავდათ სპეციალისტების საჭირო კადრი მანქანების ხასიათის და კონსტრუქციის გამოსარკვევად და მათ სახმარებლად.

ამას შედეგად მოჰყვა დაწუნებულ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დიდი რაოდენობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში და უმიზნო ხარჯები სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა მხრივ.

მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი მანქანების მიწოდების საქმეს; შეკვეთილი იყო მოვაჭრე ორგანიზაციებში ტრაქტორების, გუთნების, სალეწების, სამკალ მანქანების, სარძეო ინვენტარის და სხვ. დიდი რაოდენობა, მაგრამ აღნიშნული მანქანები და ინვენტარი მიუხედავათ დაპირებული ვადისა, არა თავის დროზე იქნა მიწოდებული და ისიც მას აკლდა სათანადო ნაწილები, რომელთა მიღება ძალიან შეფერხებულია.

ბანკს მოსდის აუარებელი წერილები გლეხებისაგან, რომელნიც მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. ბევრი მათგანი სწერს: „ჩვენ არ გვინდა ფულადი კრედიტი, არა გვაქვს გუთანი, ფოცხი, ტრაქტორი, ცელები, სეპარატორები, მათი შოვნა არ შეიძლება, და თუ რომელიმე ინვენტარი მოიპოვება მოვაჭრე ორგანიზაციებში, იგი უმეტეს შემთხვევაში ჩვენთვის გამოუსადეგარია; მოგვეცით ფულის ნაცვლად მანქანები".

კორესპონდენტი ყაზახიდან იწერება: „როცა საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო ტრაქტორი, მასზე წამოაყენეს მოთხოვნილება ათეულმა სოფლებმა".

საკმარისია ყოველ დღე გადავათვალიეროთ ადგილობრივი პრესა, რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენ ესაჭიროება დღეს ამიერ-კავკასიის სოფელს სამეურნეო მანქანები.

გლეხების სურვილი და მოთხოვნილება უნდა დავაკმაყოფილოთ.

ქ. ჩხენკელი.

შენიშვნები

ავანსებით სარგებლობა

მუშა-მოსამსახურეთათვის ავანსების მიცემა ფართედაა გავრცელებული ზოგიერთ დაწესებულებებში. ავანსების წარამარა დარიგება და ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცევა უეჭველად მიუღებელია არა მარტო წარმოება-დაწესებულების, არამედ თვით მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებისათვის. პირველნი ამ გზით აცლიენ სავრძნობ თანხას, რომელიც აუცილებელია მათი საწარმოო და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო უკანასკნელთ წვრილწვრილად მიღებული ფული ხშირად უსარგებლოდ ეხარჯებათ, ამასთან ავანსების გაცემის პრაქტიკა მათ ვერ შეაჩვევს „საბიუჯეტო დისციპლინას", რომლის დაცვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ხელფასის შემყურე მუშამ თავი იოლად გაიტანოს თვიდან-თვემდე.

ამიტომ, ავანსების გაცემა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ეს მართლა აუცილებელია (ავადმყოფობა, სიკვდილი და სხვ.).

მაგრამ ჩვენ დღეს უფრო სხვა გარემოება გვაინტერესებს. დაწესებულებებში აქ-იქ ჩვენ ვამჩნევთ ერთ დაუშვებელ მოვლენას. საქმე ისაა, რომ ზოგან პასუხისმგებელი მუშაკები ხშირად იღებენ ავანსებს და ისიც გადაჭარბებული რაოდენობით. ეს მუშაკები შედარებით ასე თუ ისე უზრუნველყოფილი არიან ნავთიერათ და მათთვის ავანსებს მიცემა იშვიათ გამონაკლისს უნდა შეადგენდეს. ამავე დროს მათი ავანსები არ უნდა იყოს იმდენი, რომ ასეთების დაბრუნება არ შეიძლებოდეს მოკლე დროის განმავლობაში მაგ ორი-სამი თვის ვადაში.

ჩვენ კი აქა-იქ ვხედავთ საწინააღმდეგო ფაქტებს. გააქვთ ავანსები, რომლებიც ერთმანეთს ემატება, აქედან გროვდება დიდძალი თანხა, რომლის დაფარვა ძალიან იგვიანებს. ამით უეჭველად ზარალობს დაწესებულება. ეს ფული „უმოძრაო კაპიტალად" ხდება და მას ვერ იხმარს დაწესებულება მიმდინარე საჭიროებათათვის.

აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ავანსებს იღებენ, არა იშვიათად ის პირები, რომელთაც თავისი მდგომარეობის მიხედვით თვითონ აქვთ უფლება ასეთების გაცემის. ისინი თავის თავს უწერენ ფულს, ხოლო მის დაბრუნებაზე არც ისე ზრუნავენ. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ საქციელი [illegible] ბოროტ მოქმედებად უნდა [illegible].

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითი. ჩვენ ხელთ გვაქვს ერთ ერთ პროფკავშირის [illegible] აქტი. ეს კავშირი შედარებით ძალიან ღარიბი ორგანიზაციაა. მიუხედავად ამისა მისი გამგეობის წევრებზე ირიცხება 3000 მანეთი ავანსის სახით. ერთს მათგანზე 1000 მანეთამდე, მეორეზე—500, მესამეზე—400 და სხვებზეც [illegible] ლოვანი თანხა. [illegible] ხშირად [illegible] არ [illegible].

[illegible]

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო „თვითმომარაგებას", თუნდაც იგი ავანსების სახელით იყოს მონათლული.

ბ.

242

უკანასკნელი ცნობები

წყალდიდობა პოლონეთში

ვარშავა, 29 ივნისი. პოლონეთში დაიწყო დიდი წყალდიდობა. ვისლა, დნესტრი და სხვა მდინარეები გადმოვიდენ ნაპირებიდან. დაფარულია მახლობელი მიდამოები რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. წყალდიდობამ გამოიწვია დიდი ზარალი. დანგრეულია ბევრი ხიდი. მრავალი სოფელი დაფარულია წყალით.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 29 ივნისი. ქალაქ კაგოშიმაში კუნძულ კიუშიუზე ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწის ძვრას, რასაც შედეგათ მოყვა რამოდენიმე სახლის დანგრევა. ამავე დროს დაიწყო მოქმედება ცეცხლის მფრქვევმა მთამ იაკაგოტაკემ, რომლიდანაც ფერფლი აღწევდა ტოკიომდე.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

საფრანგეთის მუშათა კონგრესი

პარიზი, 29 ივნისი. საფრანგეთის მუშების მოქმედების კომიტეტმა მოიწვია [illegible] მუშათა კონგრესზე, რომელიც შესდგება 5 ივნისს. კონგრესი იქნება პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის მნიშვნელოვანი მანიფესტაცია.

ძირს ხოცვა-ჟლეტა მაროკოში

პარიზი, 29 ივნისი. პარიზში შესდგა პარიზის რაიონის ლითონის მრეწველობის მუშათა პირველი კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 177 დელეგატი. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ შეწყდეს ომი რიფებთან და განთავისუფლებული იქნეს მაროკო ჯარებისაგან.

პენლევეს მთავრობის წინააღმდეგ

პარიზი, 29 ივნისი. ბუშდიუროონის (?) დეპარტამენტის სოციალისტების კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მომავალ ნაციონალურ კონგრესზე დელეგატებს მიეცეს უფლება მოითხოვონ მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე ხელის აღება.

მართლმადიდებელთა შუამდგომლობა

პარიზი, 29 ივნისი. ნიცის მართლმადიდებლობის დამცველი საზოგადოების დელეგაცია ჩავიდა პარიზში. დელეგაციის მიზანია ინახულოს პენლევე და გადასცეს მას მემორანდუმი, რომლითაც საზოგადოება შუამდგომლობს სეკვესტრი დაადოს მან მართლმადიდებელ ეკლესიის ქონებას ნიცაში. მემორანდუმში გამოთქმულია იმედი, რომ პენლევე მიიღებს ზომებს, რათა ეს ქონება გადაცეს მის კანონიერ მეპატრონეს —საბჭოთა კავშირის მთავრობას.

ერევნის წყალდიდობის ზარალი

ერევანი, 30 ივნისი. შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით წყალდიდობისაგან გამოწვეული მარტო კომუნალურ შენობის ზარალი უდრის 1.200.000 მან. ეს ციფრი ეკუთვნის მარტო ერევანს, მხედველობაში არ ვღებულობთ სოფლებს და კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს.

კაიოს პროექტი ვერ უშველის საფრანგეთს

პარიზი, 29 ივნისი. პარლამენტის და სენატის მიერ კაიოს საფინანსო პროექტის მიღებამ სრულებით ვერ [illegible] საფრანგეთის პოლიტიკურ წრეების შიში საფრანგეთის ფინანსიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამ შიშით ერთნაირად არიან შეპყრობილი როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე წრეები.

„ფიგარო“ აცხადებს, რომ უნდა გავითვალისწინოთ ორი შესაძლებლობა: პირველი—ფულების შეუჩერებლად ბეჭდვას შეუძლია მიიყვანოს საფრანგეთი იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იმყოფებოდა გერმანია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საფრანგეთს არ ეყოლება დამცველი სექჯის ჯარების სახით და ის უნდა მოელოდეს მღელვარეებს საშუალო კლასებსა და მუშებს შორის, რომლებიც უფრო თავდაუჭერელი არიან. ვინემ იგივე [illegible] —სესხი, რომელიც ღირებულებას დაუკარგავს ფულის ნიშნებს, შეუძლია მიგვიყვანოს საშიშ სამრეწველო კრიზისამდე.

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 29 ივნისი. თემთა პალატაში მაკდონალდმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც სასტიკად კიცხავს მთავრობას უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის. მაკდონალდის სიტყვით, უმუშევრობამ მიიღო ისეთი მასიური ხასიათი, რომელიც არ ახსოვს ინგლისის ისტორიას. მაკდონალდმა განაცხადა: „რომ რუსეთზე გავრცელებული იქნეს საკრედიტო შეღავათები, მაშინ შოტლანდიის აღმოსავლეთ ნაპირზე სამუშაოს იშოვიდა მრავალი ათასი მუშა“. მაკდონალდმა ინგლისის ახალი მთავრობა დაახასიათა, როგორც „მთავრობა, რომელსაც ძინავს და რომელსაც მხარს უჭერს ბრმა უმრავლესობა“.

მაკდონალდის საპასუხოთ ბოლდვინმა განაცხადა, რომ მთავრობა ზომებს იღებს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ სამრეწველო დარგების დასახმარებლად კრედიტების და შეღავათების მიცემით.

კამათის შემდეგ პალატამ 373 ხმით 43 წინააღმდეგ უარყო მუშათა პარტიის რეზოლუცია მთავრობისადმი გაკიცხვის გამოცხადების შესახებ.

სხვა და სხვა ამბები

— **ინგლისის წინააღმდეგ.** რეიტერის სააგენტო იუწყება იოგანესბურგიდან (სამხრეთ-აფრიკა), რომ იქ იმყოფება განდის შვილი, რომელიც წინადადებას იძლევა მოეწყოს სამხრეთ-აფრიკაშიც (მსგავსათ ინდოეთისა) ინგლისთან თანამშრომლობაზე უარის თქმის მოძრაობა.

— **გადაფრენა მოსკოვი-პეკინი.** ვინაიდან ჩრდილოეთ ამერიკიდან ძლიერი ქარი ქრის, ირკუტსკიდან საბჭოთა საჰაერო ექსპედიციის გაფრენა 29 ივნისს გადაიდო.

— **სპარსეთის პრესის მოწოდება.** სპარსეთის პრესა მოითხოვს პროტესტის გამოცხადებას სპარსეთის ყურეში იარაღის შემოტანის აკრძალვის გამო ჟენევის კონფერენციის მიერ.

— **მუშათა პარტიის დევნა უნგრეთში.** ბუდაპეშტში გრძელდება უნგრეთის მუშათა სოციალური პარტიის დევნა. პოლიცია არკვევს აქვს თუ არა კავშირი პარტიას მოსკოვთან.

— **ტერორი ბულგარეთში.** სლივენის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ექვს კაცს, რომლებსაც შეთქმულების მოწყობა ბრალდებათ. სხვა ბრალდებულებს მრავალი წლის ციხე მიუსაჯეს.

— **„მუშათა“ მთავრობის პირველი ნაბიჯი.** ავსტრალიის მუშათა მთავრობამ აკრძალა ავსტრალიაში 1919 წლის შემდეგ შემოსულ ემიგრანტების მიღება სამსახურში, თუ ამის ნებას არ დართავენ სათანადო ორგანოები.

— **ინდოელ ნაციონალისტების ახალი ბელადი.** ინდოელ ნაციონალისტების ბელადათ დასსის მაგიერ არჩეულია სენ-გუპტა.

— **წითელი არმია მონღოლეთში.** მონღოლეთის მთავრობის დადგენილებით მონღოლეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახალხო არმიას ამიერიდან ეწოდება „მონღოლეთის წითელი არმია“.

— **ნაწილობრივი არჩევნები საფრანგეთის სენატში.** სენატში ნაწილობრივი არჩევნების დროს ანჟერში 494 ხმით არჩეული იქნა ზომიერი რესპუბლიკანელი მორსო, მისმა მოწინააღმდეგემ მონარქისტმა ლეონ დოდემ 35662 ხმა მიიღო.

— **პერსელის კანდიდატურა პარლამენტში.** პერსელის კანდიდატურა პარლამენტში წამოყენებული იქნება ერთ-ერთ ოლქში ინგლისის მუშათა პარტიის მიერ პარლამენტის გარდაცვლილი წევრის ნაცვლად.

დღეს, ოთხშაბათს, პირველ ივლისს
●●●●●●●● საღამოს 6 საათზე ●●●●●●●●
მუშათა ცენტრალურ კლუბში
კავშირების ცენტრალური გამგეობებისა და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომების წევრთა თანდასწრებით შესდგება
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი
[illegible] დაესწრებიან საფრანგეთის და ბელგიის მუშათა დელეგაციის წევრები.
ს. კ. პ. ს. პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ი. ჭელიძე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ინგლისი

შოტლანდიის მუშების ენერგიული ბრძოლა

ლონდონი, 28 ივნისი. შოტლანდიის სამთომადნო მუშათა ლიდერი ლებერტ სმაილი მიტინგზე შეეხო საკითხს მრეწველობის კრიზისის შესახებ. მან მიმართა მუშებს მოწოდებით გაერთიანდენ და წინააღმდეგობა გაუწიონ ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გადიდებაზე. სმაილიმ სთქვა: „თუ საჭიროა მსხვერპლის გაღება, რატომ არ უნდა მოვითხოვოთ, როცა მემამულეებმა უარი სთქვენ თავიანთ უპირატესობაზე?“.

შემდეგ სმაილიმ გამოსთქვა იმედი, რომ სამთომადნო მუშები არ შესწყვეტენ ბრძოლას თავიანთ ინტერესებისათვის და ინგლისის დარაზმული პროლეტარიატი დარწმუნდება იმაში, რომ მწარმოებლებს იერიშები მოაქვთ მთელ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა მაქსტონმა აგრეთვე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს შევამციროთ ხელფასი თუნდაც ერთი შილინგით და გავადიდოთ სამუშაო დღე თუნდაც ერთი საათით, ვინაიდან ასეთი ზომები არა თუ არ აგვაშორებს თანამედროვე სენს, არამედ პირიქით გაამწვავებს მას.

მაქსტონმა გამოსთქვა იმედი, რომ დარაზმული მუშები გაჰყვებიან სამთომადნო მუშათა ფედერაციის გენერალურ მდივნის კუკის რჩევას და ნებას არავის მისცემენ დაჰყონ ისინი ცალკე ბატალიონებათ, არამედ მედგრად გაილაშქრებენ გაერთიანებული ძალებით საერთო მტრის წინააღმდეგ.

მექსიკა

კომპარტია მებრძოლ პროლეტარიატის მებაირახტრეა

მექსიკა, 29 ივნისი. მიუხედავად მთავრობის მუქარისა, საგაფიცვო მოძრაობა შეუჩერებლად ფართოვდება, რკინის გზები მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვას.

კომუნისტი ბარრიოსა არჩეულია რკინისგზების გაერთიანების გენერალურ მდივნად. კომპარტიაში შედის მრავალი რკინისგზელი, მათ შორის იმ პროფესიონალური მთლიანობის კომიტეტის ყველა წევრები, რომელიც დაარსეს რკინის გზელების კავშირებმა. კომპარტიამ წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ განყოფილებას განიხილონ საკითხი საყოველთაო გაფიცვის დროს რკინის გზელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასურსათო ვალის გახსნა

მოსკოვი. 30 ივნისი. ვინაიდან სრულიად რუსეთის ცაკთან არსებულ სიმშილის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალურ კომიტეტის მიერ სასურსათო სესხი გაცემული იყო მოუსავლიან რაიონებზე, სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე და [illegible] იყო დამშეულ ბავშვების გამოსაკვებად, სრულიად რუს. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სრულიად გააუქმოს მოუსავლიან რაიონების მცხოვრებლებზე ს. რ. ცაკთან არსებულ სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მიერ გაცემული სასურსათო სესხი და მიეცეს წინადადება სოფლის მეურნეობის აღორძინების კომიტეტს გამოაქვეყნოს გასანთავისუფლებელ რაიონების სია, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს მოსახსნელი სასურსათო ვალის რაოდენობა.

ბრძოლა მოუსავლობის შედეგებთან

მოსკოვი. 30 ივნისი. მოუსავლობის [illegible] სიამ დაადგინა წინათ გადადებულ თანხის ანგარიშში მისცეს ცენტრალური რაიონის გუბერნიის გლეხებს სასურსათო დახმარება—პური 1.900.000 ფუთის რაოდენობით.

კომისიამ დაუწესა აგრეთვე სათესლე სესხის ფონდი 1925 წლის შემოდგომის ნათესებისათვის 12.000.000 ფუთის რაოდენობით.

ამასთან ერთად კომისიამ დაადგინა, რომ სათესლეს დამზადება შემოდგომის თესვისათვის უნდა მოხდეს პურის დამზადების კამპანიის წესით, მხოლოდ ისე, რომ თესლეულის მოტანა დანიშნულ ადგილებზე დამთავრდეს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

„პატიომკინ“-ზე აჯანყების ოცი წლის თავი

ოდესა. 30 ივნისი. შავი ზღვის ფლოტმა დიდი ზეიმით გადაიხადა ჯავშნოსანი „პატიომკინის“ აჯანყების ოცი წლის თავი. გემებზე გაიმართა მოგონებების და „პატიომკინის“ კუთხეების მოწყობის საღამოები. კუნძულ ტანდრაზე, სადაც იდგა ფლოტი და საიდაც დაიწყო აჯანყება, მოწყობილი იყო მიტინგი, რომელზედაც გამოვიდენ მოხსენებებით და მისალმებით ფლოტის წარმომადგენლები.

არაჩვეულებრივი გრიგალი

მოსკოვი, 27 ივნისი. მესიაგუტოვის კანტონის სოფელ [illegible] რაიონზე გადაიარა არაჩვეულებრივი ძალის გრიგალმა. [illegible] დიდი იყო, რომ იტაცებდა [illegible] მიანებს. სასავადმყოფოში მოიყვანეს ერთი გლეხი, რომელმაც სთქვა, რომ ქარმა იგი თითქმის ერთი ვერსის მანძილზე გადაიტაცა და გადარჩა სრულიად შემთხვევით—გზაზე დაეცა ბოძს, რომელზედაც ხელი ჩაავლო. რამოდენიმე გლეხი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

საბჭოთა თურქმენისტანში

საუბარი ამხ. აიტაკოვთან

ბაქო. 30 ივნისი. თურქმენისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აიტაკოვმა სალონში ყოფნის დროს ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა: ეროვნულმა გამიჯვნამ, რომელიც მოხდა 1924-25 წელში შუა აზიის ხალხთა შორის, ხელი შეუწყო ამ ხალხის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

წინათ, როცა შუა აზიის ეროვნებათა ურთიერთობა მოუწესრიგებელი იყო, მრავალ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ყველაფერ ამას ახლა ბოლო მოეღო.

თურქმენისტანის მიერ დამოუკიდებლობის მიღებამ ძლიერ შეუწყო ხელი ქვეყნის კულტურულ წინსვლას. წინეთ სწავლა-განათლების საქმეზე იხარჯებოდა 300.000 მანეთი, ეხლა კი რამდენიმეჯერ მეტი იხარჯება. თურქმენისტანის სკოლები გავსებულია მოწაფეებით.

დიდი ყურადღება ექცევა თურქმენისტანის არხების მოწყობას.

აგარაკები გლეხებისათვის

„რაც უფრო ხმა მაღლა ილაპარაკებენ საბჭოთა გლეხები, მით უფრო ჩქარა აეხილება თვალი ინგლისის მუშებს“

იალტა, 30 ივნისი. ლივადიაში ნიკოლოზის ყოფილ სასახლეში მოხდა გლეხთა კურორტის საზეიმო გახსნა. ლივადიის პარკის ცენტრალური ნაწილი ვერ იტევდა გახსნაზე დასწრების მსურველთ. კრებაზე მისალმებით გამოვიდნენ სემაშკო, კისელევი, დემიან ბედნი და ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. ორატორები აღნიშნავდენ გლეხთა კურორტის გახსნის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და ხაზს უსვამდენ, რომ გლეხთა და მუშათა კავშირის სიძლიერე უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და სხვა ფრონტებზე გამარჯვებას.

ლონდონის მუშათა უნივერსიტეტის რექტორი კრეიკი, ჩამოსული გლეხთა სანატორიების გასაცნობათ, მიესალმა დამსწრეთ ლონდონის სტუდენტების და მუშების სახელით და სთქვა: „რაც უფრო ხმა მაღლა ილაპარაკებენ გლეხები საბჭოთა ნამდვილ მდგომარეობაზე, მით უფრო აეხილება თვალი ინგლისის მუშებს“.

საზეიმო სხდომა დამთავრდა ნიკოლოზის ყოფ. სასადილოში მოწყობილ ბანკეტით.

ამხ. კამენევი ბორჯომში

ბორჯომი. 30 ივნისი. გუშინ ამხ. კამენევმა და მელნიჩანსკიმ დაათვალიერეს მინერალურ წყლის ჩამოსასხმი ქარხანა, სტუმრებს უჩვენეს ქარხნის მუშაობის მთელი პროცესი.

კამენევი ესაუბრა მუშებს და დიდათ იყო დაინტერესებული მათი მუშაობით. შემდეგ მუშების თხოვნით მან მუშებთან ერთად სურათი გადაიღო.

კითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე ქარხნის მუშაობამ, კამენევმა უპასუხა, რომ მან მიიღო ძალიან კარგი შთაბეჭდილება და ამაზე ის დასწერს.

ნანსენის კომისიის მუშაობა

ერევანი, 30 ივნისი. 27 ივნისს ნანსენის კომისიამ ნიადაგის გამორკვევის მიზნით დაათვალიერა ის ადგილები, რომელიც აკრავს ერევანს ჩრდილოეთ-დასავლეთით. შემდეგ კომისიამ ინახულა ახმალუ და აშტარაკი, სადაც გაეცნო წყლის სისტემას.

28 ივნისს ნანსენი იყო ეჩმიაძინს, სადაც დაათვალიერა წიგნთსაცავი და მუზეუმი, შემდეგ ინახულა სომხეთის კათალიკოსი და გაეცნო ეჩმიაძინის ტაძრის სიძველეთ.

ნანსენის კომისიამ დაათვალიერა ტროპიკული სადგური, რომელიც აგებულია სიმშილობის წლეებში, ნანსენის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი ფულებით.

სადგურის აფთიაქი ატარებს ნანსენის სახელს.

ნანსენის კომისია ამ დღეებში შეუდგება სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას და შემდეგ გაემგზავრება საზღვარ-გარეთ.

საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

დელეგაცია საქართველოს პროფსაბჭოში

გუშინ დილით საფრანგეთი-ბელგიის მუშათა დელეგაცია ესტუმრა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს. დელეგაცია სრული შემადგენლობით მიიწვიეს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სამუშაო კაბინეტში. აქ დელეგაციას დახვდენ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგე ამხ. ჭელიძე, სატარიფო ეკონომიური განყ. გამგე ამხ. მაჩაიძე, ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანი ამხ. სემკოვი და საქ. პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკნი. შეხვედრას ფრანგ-ბელგიელ ამხანაგებთან არ ჰქონია საზეიმო ხასიათი მათ შეხვდენ შინაურულად ამხანაგური გულწრფელობით.

ამხ. ჭელიძის სიტყვა

პროფსაბჭოს სახელით ამხ. ჭელიძემ გამოსთქვა სიხარული იმის გამო, რომ საფრანგეთ-ბელგიის მუშებმა გამოიჩინეს სურვილი უშუალოდ გაეცნობოდენ ჩვენი ქვეყნის მუშათა მდგომარეობას და ამ მიზნით ეწვიენ მუშათა სასახლესაც.

თავის პატარა სიტყვაში დელეგატებს ამხ. ჭელიძემ აღუთქვა ამომწურავი პასუხის გაცემა ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც მუშა-დელეგატებს აინტერესებთ. ამასთანავე ამხ. ჭელიძემ მოკლე მიმოხილვა გაუკეთა საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობას გასაბჭოების დღიდან უკანასკნელ დრომდე და დელეგატების ყურადღება შეაჩერა განსაკუთრებით პროფესიონალური ორგანოების კულტმუშაობაზე. ბელგიელი და ფრანგი მუშები გაეცნენ, თუ რა დონეზე იდგა წერა-კითხვის ცოდნა გასაბჭოებამდე და რა დონეზე სდგას ამჟამად, როგორ არის დაყენებული პროფესიონალური განათლება; წარმოების რომელ დარგს ექცევა უფრო მეტი ყურადღება; რა სიმაღლეზე სდგას პროფესიონალური ლიტერატურის და პერიოდული პრესის გამომცემლობა, რას წარმოადგენს საკლუბო მუშაობა საქართველოში და სხვა.

შემდეგ დელეგატები დაინტერესდენ პროფკავშირების წევრთა რაოდენობით და მისი ეროვნული შემადგენლობით. იკითხეს აგრეთვე, არსებობს თუ არა რაიმე განსხვავება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების და საქართველოს პროფორგანოებს შორის. შემდეგი კითხვა შეეხებოდა საკითხს, თუ რა ურთიერთობა არსებობს სხვადასხვა რესპუბლიკების პროფორგანოებს და შრომის სახალხო კომისარიატებს შორის.

შემდეგ კითხვები შეიცავდენ საქართველოს მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაგების სურვილს. დელეგატები კითხულობენ მუშათა საშუალო ხელფასს ხელფასთან დაკავშირებით. ეცნობიან ადგილობრივი ბაზრის პირობებს, აინტერესებთ საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს შრომის არსებული ხელფასი მომსამსახურეთა საჭიროება-მოთხოვნილებას.

დელეგატები [illegible] აგრეთვე სოციალური დაზღვევის საკითხებს. აინტერესებენ დაზღვეულთა რაოდენობა და სხვადასხვა ხასიათის დახმარებანი, რომელნიც ეძლევათ დაზღვეულებს, სოციალური დაზღვევის მდგომარეობასთან ერთად უცხოელ სტუმრებს აცნობენ შრომის დაცვის სხვა ღონისძიებებს: დასასვენებელი სახლების საქმიანობას, მათ მნიშვნელობას, საკურორტო დახმარებას და სხვა. დელეგატები განსაკუთრებული ყურადღებით კითხუ[illegible] საქართველოში, ამხ. [illegible] თუ რა ღონისძიებები არის მიღ საქართველოში ბინის კრიზ მოსასპობლად.

დასასრულ დელეგატები იძლე კითხვებს სხვადასხვა კავშირების რთა რაოდენობის და მათი [illegible] მდგომარეობის შესახებ.

საუბარი ერთ საათზე მეტი გ ძელდა.

ფრანგ-ბელგიელ ამხანაგებს ბოდათ დიდი დაინტერესება. ბარს ქონდა მეტად ცოცხალი სითით და ხალისით მიმდინარე

უცხოელი ამხანაგები არც მნიშვნელოვან ცნობას თავის ბლ ნოტებში ჩაუნიშნავად არ ს ვებდენ.

საუბრის დასასრულს უც ამხანაგები ესტუმრენ ვადას კავშირების ცენტრალურ გამგე

დელეგაციის წევრები ცალკე პროფკავშირებში

ამხ. ჭელიძესთან საუბრის შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს მიწატყის მუშაკთა, მეღვინეთა და ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირები.

დელეგატები გამოესაუბრენ კავშირების პასუხისმგებელ მუშაკებს, ეკითხებოდენ მათ, თუ რამდენი წევრი ითვლება კავშირში, როგორია შრომის ხელფასი, რამდენია ვარი, როგორია პროფკავშირ ების ნაციონალური შემადგენლ და სხვა.

შრომის სასახლიდან დელეგა გაემგზავრა თბილისის ქუჩ ის სათვალიერებლად, რის შემდ დაბრუნდა სასტუმროში, სადაც მართა საუბარი დელეგატებსა პროფმუშაკებს შორის.

გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების საქმე

დიტმარის ჩვენება

მოსკოვი, 29 ივნისი. 26 ივნისს საღამოს სხდომაზე გრძელდება დიტმარის დაკითხვა. ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ პირველი სხდომა, რომელიც იხილავდა საკითხს მოსკოვში გამგზავრების შესახებ გაიმართა ბერლინში კინდერმანის ბინაზე, თათბირს დაესწრენ ვოლშტი, კინდერმანი და ფინკი. ამ თათბირზე ნათლად ისახებოდა ექსპედიციის მიზანი—ტერორისტული აქტების მოხდენა. მოხსენება გააკეთა კინდერმანმა. ვოლშტი თავის სიტყვაში შეეხო მხოლოდ საქმის საჭირო [illegible] მიღების და სხვა ტექნიკურ საკითხების შესახებ.

შემდეგ [illegible], რომ კინდერმანი [illegible] და ფინკი, „კონსულის“ წევრები.

ბრალდებულის შეკითხვაზე კინდერმანი ვერ უარყოფს დიტმარის ჩვენებას, [illegible] შემდეგ ის თი[illegible] ფაქტს ადასტურებს.

შემდეგ დიტმარი ლაპარაკობს [illegible] და ვოლშტის ბინაზე.

ბრალდებული კინდერმანი უარჰყოფს ამ სხდომების გამართვის ფაქტს.

კინდერმანის ფანტასტიური ჩვენება

სხდომის შეწყვეტის შემდეგ სასამართლო იწყებს ბრალდებულ კინდერმანის დაკითხვას.

სასამართლოსთან ხანგრძლივი კინკლაობის შემდეგ კინდერმანი მოუთხრობს, რომ საბჭოთა კავშირში გამგზავრების იდეა პირველად მას დაებადა 1923 წელს ოქტომბერში შპიცბერგენიდან დაბრუნების შემდეგ. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ციმბირის და იაკუტის ოლქის შესწავლა.

კრილენკო ეკითხება ბრალდებულს, რამდენად დაკავშირებული იყო მისი მეცადინეობა უნივერსიტეტში პოლიარულ ექსპედიციის მოწყობასთან. კინდერმანი აღნიშნავს, რომ ექსპედიციის პირდაპირი კავშირი არ ჰქონია უნივერსიტეტში მის მეცადინეობასთან, ვინაიდან ის სწავლობდა ფილოსოფიას, მაგრამ სახლში თავისით სწავლობდა პოლიარულ ქვეყნების პრობლემას.

შემდეგ კრილენკო ეკითხება კინდერმანს, თუ რად დასჭირდა მას პარტიული ბილეთი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მიზნით გამგზავრების დროს და გამართა, თუ არა მან წინასწარი მიწერ-მოწერა სამეცნიერო საზოგადოებებთან, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. კინდერმანმა განაცხადა, რომ მან შესაძლებლად ვერ დაინახა სამეცნიერო საზოგადოებებთან კავშირის დაჭერა, რადგან ჯერ თავი არაფრით არ გამოუჩენია სამეცნიერო დარგში. პარტიული ბილეთი კი დასჭირდა იმისათვის, რათა სამეცნიერო ორგანიზაციები და საბჭოთა დაწესებულებები მეტის ნდობით მოპყრობოდენ მას.

კინდერმანი უარყოფს აგრეთვე ყველა იმ ცნობებს, რომელსაც ის იძლეოდა სხვადასხვა ანკეტებში და დოკუმენტებში: მაგალითად ტომსკის უნივერსიტეტის მიერ მისი მოწვევის შესახებ და სხვა.

კინდერმანის დაკითხვა გადადებული იქნა 27 ივნისამდე.

დილის სხდომაზე კრილენკო ეკითხება კინდერმანს, როდის და რა მიზნით შევიდა ის გერმანიის კომპარტიაში. კინდერმანი უპასუხებს, რომ 1924 წელს საალდგომოთ მან მიმართა დურლიხის კომუნისტურ ორგანიზაციის თავმჯდომარეს ვეისს თხოვნით მიეცა რეკომენდაცია სრულუფლებიან წარმომადგენლობაში წარსადგენათ. ვეისმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა, რის შემდეგ კინდერმანი გაემგზავრა ბერლინში, მაგრამ აქ მან საჭიროთ დაინახა პარტიული ბილეთის შეძენა და წერილობით მიმართა ვეისს გამოეგზავნა მისთვის ასეთი ბილეთი.

კინდერმანი აღნიშნავს, რომ პარტიულ ბილეთის ბლანკზე დატოვებული იყო ცარიელი ადგილი პარტიაში შესვლის რიცხვის ჩასაწერად. მან აღნიშნა თავისი პარტიული სტაჟი 1920 წლიდან, რადგან თავის თავს სთვლიდა კომუნისტად სწორედ ამ დროიდან. მარკები საწევრო გადასახადის შეტანის შესახებ ბილეთზე დაწებებული იყო, კინდერმანის სიტყვით, მისი მამის მიერ დურლიხში, კრილენკო აქვეყნებს კომინტერნის აღმასრულებელ ბიუროს ცნობას იმის შესახებ, რომ მარკები ერთბაშად იყო ჩაწებებული და არა თანდათან საწევრო გადასახადის შეტანის მიხედვით.

კინდერმანი არ სთვლის ამას სიყალბეთ, რადგან შეუვსებელი ადგილები ბილეთში დატოვებული იყო განგებ და მას უნდა შეევსო იგი, როგორც ამას საჭიროთ დაინახავდა.

კინდერმანის პასუხებიდან ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირში გამგზავრების დროს, მას არ ჰქონია არავითარი [illegible] ლოეთის პოლიუსზე ექსპედიციის მოსაწყობად. საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლად მას საჭიროთ მიაჩნდა პარტიული ბილეთის წინასწარი შეძენა. აგრეთვე კინდერმანი არ უარჰყოფს დიტმარის ჩვენებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება თათბირებს.

ამგვარად განსხვავება დიტმარის და კინდერმანის ჩვენებებს შორის მხოლოდ საბჭოთა კავშირში გამგზავრების მიზანშია.

კრილენკოს შეკითხვაზე, თუ რით სცხოვრობდა კინდერმანი საბჭოთა კავშირში, უკანასკნელი უპასუხებს, რომ ჯერ ის ღებულობდა ფულს მამისაგან, ხოლო შემდეგ აძლევდა კერძო გაკვეთილებს, იყო აგრეთვე ბარგის მზიდავათ ვაგზალში. შემდეგ კინდერმანი მოუთხრობს, თუ როგორ გაიცნო მან საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი—ექიმი შვაიგერტი,—უნივერსიტეტის ლექტორი კრიმინალურ ფსიქოლოგიაში. კინდერმანმა სთქვა: „ვისმენდი რა შვეიგერტის ლექციებს, მე ხშირად ვესაუბრებოდი მას ჩემი მძიმე მატერიალურ მდგომარეობის შესახებ. მან მომცა მე დასავლეთ ბერლინის საიდუმლო ძიების ბიუროს მისამართი, მაგრამ იქ არავითარი სამუშაო არ მომცეს“.

მოსკოვი, 30 ივნისი. 28 ივნისის დილის სხდომაზე დაკითხული იქნა გერმანიიდან ჩამოსული მოწმე ფინკი.

ფინკის დაკითხვა

ფინკი ამბობს, რომ იგი არის სტუდენტი თეოლოგი, ემზადება სამღვდლოთ. თანაუგრძნობს კომუნისტებს, სტუდენტთა კავშირში არ შედის. ფინკის სიტყვით ვოლშტმა და კინდერმანმა დაიწყეს მემარცხენეობა მისი გავლენით. უკანასკნელ დროს კინდერმანი გულდასმით ისწავლიდა კომუნისტურ ლიტერატურას: გოგოლს, დოსტოევსკის და ტოლსტოის (დარბაზში სიცილი). ფაშისტურ ორგანიზაცია „კონსულთაი“ ბრალდებულთა კავშირის შესახებ ფინკმა თითქოს არაფერი არ იცის.

სასამართლოს თავმჯდომარე იაროსლავსკის კითხვაზე ფინკმა უპასუხა, რომ მოსკოვში იგი, როგორც გერმანიის ქვეშევრდომი, სრულებით არ არის შეზღუდული თავის უფლებებში. იაროსლავსკი აქვეყნებს სასამართლოს კომენდანტის ცნობას, რომ კინდერმანი ფინკის დაკითხვის დროს სცდილობდა გადაეცა მისთვის წერილი. თავმჯდომარე აფრთხილებს, რომ თუ ასეთი რამ განმეორდა, იგი იძულებული იქნება შესწყვიტოს მოწმის დაკითხვა.

შემდეგი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ კინდერმანი მონარქისტ სტუდენტის იონსონის დიდი მეგობარი იყო.

ვოლშტი ეკითხება ფინკს, არის თუ არა იგი ორგანიზაცია „კონსულის“ წევრი. ფინკმა უპასუხა უარით.

ფ ნკი დაიჭირეს ტყუილებში

პროკურორი კრილენკო უჩვენებს ფინკს ფორმაში გამოწყობილ სტუდენტთა ერთი ჯგუფის სურათს, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილზე არის ფინკიც და ამით აბათილებს მის განცხადებას, თითქოს არასოდეს ის არ ეკუთვნოდა სტუდენტთა ორგანიზაციას.

შემდეგ ფინკი აღიარებს, რომ მან გააცნო ვოლშტი კინდერმანს და წინადადება მისცა მას მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირში მიმავალ სამეცნიერო ექსპედიციაში. ფინკის სიტყვით, ექსპედიციის მიზანი იყო კავშირის გაბმა გერმანიის და რუსეთის სტუდენტობას შორის და ობიექტიური ცნობების შეკრება საბჭოთა კავშირის შესახებ.

ფინკის დაკითხვის შემდეგ წყდება 28 ივნისის დილის სხდომა.

მოწმე როზეს დაკითხვა

[illegible] დაკითხულ იქნა მეორე მოწმე (დამცველების) როზე, რომელიც გამოწვეულია ბერლინიდან.

სასამართლოს მოახსენებენ, რომ ღამით 27—28 ივნისს მოწმე როზემ დაარღვია ხელწერილი, რომელიც მან მისცა სასამართლოს, წავიდა გერმანიის საელჩოში, სადაც საუბარი ჰქონდა ვინმე უცნობთან. ამის გამო პროკურორი მოითხოვს მოხსნილ იქნეს მოწმე როზე, რადგან მის ჩვენებას ეკარგება ობიექტიური ხასიათი. 15 წუთის თათბირის შემდეგ სასამართლო ადგენს განაგრძოს მოწმე როზეს დაკითხვა.

როზე აცხადებს, რომ არ შეიძლებოდა გერმანელ სტუდენტებს არ გაეგონათ „კონსულ“-ის მოწყობის შესახებ. კინდერმანის და ვოლშტის გამგზავრებას როზე უწოდებს ავანტიურას და კინდერმანს და ვოლშტს უწოდებს არა სერიოზულ ხალხს. ამით მას სურს მათი დანაშაულის მიჩქმალვა.

სასამართლოს თავმჯდომარე შეკითხვას აძლევს დიტმარს: „იცოდა თუ არა რაიმე მოქალაქე როზემ ვოლშტის, კინდერმანის და დიტმარის ექსპედიციის ტერორისტული და ჯაშუშურ მიზნების შესახებ“.

დიტმარი პირდაპირ მიაჩერდება როზეს თვალებში და აცხადებს: „ორგანიზაცია „კონსულ“-ის [illegible] თანახმად, როზემ მიბრძანა მე შევერთდებოდი ექსპედიციას და მითხრა, რომ მოსკოვში მე მექნებოდა დავალებები. ამას გარდა, ექსპედიციის მონაწილეთა ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე კინდერმანმა მოხსენება გააკეთა საიდუმლო თათბირის შესახებ, რომელსაც დაესწრენ ერხარდტი, როზე, ფინკი და სხვები, და რომელზედაც ლაპარაკი იყო ტერორისტულ აქტებზე, თავდასხმის მოწყობაზე, ჯაშუშობაზე და სხვ“.

შემდეგ სასამართლო აქვეყნებს თვით კინდერმანის ჩვენებას, რომელიც ეთანხმება იმას, რაც სთქვა დიტმარმა. „რას იტყვით ამის შესახებ?“ — ეკითხება როზეს თავმჯდომარე. როზე აცხადებს: „ეს ექიმის საქმეა“,—„ყველა ავადმყოფობას ვერ კურნავენ ექიმები“—შენიშნავს თავმჯდომარე.

სასამართლოს სხდომა გადაიდო 29 ივნისის 11 საათამდე.

კინდერმანის ოინები

29 ივნისის დილის სხდომაზე კრილენკო აქვეყნებს მთელ რიგ დოკუმენტებს და წერილებს, რომლებიც შეეხება კინდერმანს.

კინდერმანი უარჰყოფს ყველა ამ დოკუმენტების სინამდვილეს და აცხადებს ჩვენების მიცემის დროს, რომ ის იმყოფებოდა ბაუმანის გიპნოზის და გამომძიებელ როზენფელდის გავლენის ქვეშ. რადგან კინდერმანმა სთქვა, რომ ზოგიერთი წერილი მან დასწერა როზენფელდის მუქარის ზეგავლენის ქვეშ, კრილენკო სთხ სასამართლოს დაკითხულ იქნეს ზენფელდი. სასამართლო აკმაყო ლებს ამ შუამდგომლობას.

გამომძიებელ როზენფე დის დაკითხვა

მოსკოვი, 30 ივნისი. 29 ივნ საღამოს სხდომაზე ჩვენებას იძლ და მთავარ პოლიტიკურ სამმა ლის გამომძიებელი როზენფ რომელიც აწარმოებდა ბრალ თა საქმეს. როზენფელდმა და ლებით ილაპარაკა გამოძიების ლელობის შესახებ.

6 თებერვლამდე კინდერმანი წმუნებული იყო, რომ როზენფ სჯეროდა მისი კომუნისტობა. 6 თებერვალს როზენფელდმა დგინა კინდერმანს ვოლშტ მიწერილი წერილი, რომ მტკიცედ დასდგომოდა პირველ ჩვენებას. 25 იანვრის ლიდან კი სჩანდა, რომ ფაშისტია. ამგვარად კინდერ ფეხქვეშ გამოეცალა ნიადაგი. გორც კინდერმანმა დაინახა, არაფრის დამალვა აღარ შეიძლებ თავისი ნებით დაიწყო ჩვენების ცემა. დაკითხვის გათავების შემ მან ხელი ჩამოართვა როზენფე და უთხრა: „ეხლა მე ნამდვილად მოვსძებნე სწორი გზა და მეტად ხარული ვარ, რომ გამოვუტყდი ლა ჩემ ცოდვებშიო“.

ბაუმანს პირველად არ სურდა მოტეხა. მე წინადადება მივეცი მანს მეზობელ ოთახიდან ყური ეგდო კინდერმანის ჩვენებისა რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილ მოახდინა. რამდენიმე დღის შ ბაუმანმაც სწორი ჩვენება მოგვ

17 თებერვალს როზენფე კინდერმანიდან მიიღო წერილი, დაც ის აცხადებდა, რომ მას რო საქმის გამო სურს როზენ დის ნახვა. კინდერმანი—ამბობს ზენფელდი — ჩემთან შემდ მეტად აღელვებული და შიში მოსთქვა, რომ მთავარი პო სამმართველო ისარგებლებდა გულწრფელი აღსარებით და დახვრეტდა. როზენფელდმა მას ჩაი ეთხოვა შეწყალება. ამის შ მან დასწერა წერილი ძერ სახელზე, სადაც აღიარებდა დანაშაულს და ითხოვდა შეწყალ როზენფელდის ჩვენების შემდეგ ლენკო შეეკითხა ვოლშტს მართ თუ არა, რომ მან ბაუმანთან რის დროს განაცხადა, რომ გერმანიაში გაიმარჯვეს ფაშისტ კომუნისტები მოსპობილი იქნ და რომ ვოლშტი თავისი ამხა ბით უფრო ძლიერად შეებრძო კომუნიზმს?

ვოლშტი უარყოფს ამას.

ბიუმანმა მოაგონა მას ლაპა მთავარ პოლიტსამმართველოში, დაც ის ამბობდა რომ „დღეს, დესაც მემარჯვენეები ხელთ ა ძალა-უფლება საინტერესო მანიაში ყოფნა და არა ჯდომაო“. ვოლშტი ამბობდა თვე: „დღემდის არა ერთ ნისტი გამიმგზავრებიაო“.

სიმართლეს მალავ

ბერლინი, 29 ივნისი. გერმ საზოგადოებრივ აზრს ამჟამად ვითარი საშუალება არა აქვს ნიოს საკუთარი შთაბეჭდილება მანელ ფაშისტ სტუდენტების ცესზე, რადგან „როსტა“-ს შებს, რომელთაც პირველად სებდენ, ეხლა სრულებით არ აქვეყ ნებენ. აქვეყნებენ მხოლოდ „ფოსი ცეიტუნგ“-ის და „ბერლინერ ტ გებლატ“-ის სპეციალურ კორესპონ დენტების მოკლე დეპეშებს.

პატარა ფელეტონი

ბელგიის ჩემპიონატი

„ორი თვის დავიდარაბის შემდეგ, ბელგიის პარლამენტმა დიდის გაჭირვებით მოილოგინა და შობა ახალი კოალიციური მთავრობა.

ბებიად იყო თვითონ მეფე, ხოლო ნათლიად —მორგანი“.

ვანდერველდემ დაიკვეხა:
ყველგან გავიკვლიე ბინა;
ანსილეს და ძმა ჰიუისმანს
შიუძლევები მუდამ წინა!
საგარეო მინისტრებში
მაგარი ვარ, როგორც რკინა.
კათოლიკებს ხელს გადავხვევ
და ბლოკს შევკრავ ჩუმად შინა.
ლიბერალი გავაცურე,
თუმც პირველად შემაშინა.
მეფე მყავდეს მწყალობელი—
კომუნისტებს ვასვა ხინა.
მორგანიც ხომ ჩემკენ არის,
ჩემი რჩევა მოისმინა.
ცალი პირი მუშებისკენ,
წინ ნოხები გამეფინა;
ცალი მამონს, ოქროს ბატონს
შემპარავად გამეცინა.
ხან ერთი და ხან მეორე,
არც მექო და არც მეგინა.
რომ რუსეთის დე-იურე
აღარ მეცნო, გამეფრინა.
მოთხოვნები უარ მეყო,
პროფკავშირებს დაეძინა.
რომ ბანკირებს ეჩვენათ,
სხვა მოგებაც მიმეჩინა;
თუ გავყიდე, თვით ვიყიდე
პორტფელი და თბილი ბინა.
ეხლა რატომ ვერ შეიგნეს,
მაგარი ვარ, როგორც რკინა!
„ვერც არ თოვლი დამაკლებს,
ვერც არ შემოდგომის წვიმა!“

ფიდო ლამია.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კომპარტიის პოლიტიკა ხელოვნების დარგში

მოსკოვი, 30 ივნისი. რ. კ. პ. ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის სახელოვნო პოლიტიკის შესახებ. რეზოლიუციის მიზანია ბოლო მოუღოს უთანხმოებას ცალკე ლიტერატურულ ჯგუფებს შორის და გარკვეული სახე მისცეს მუშათა კლასისა და კომპარტიის დამოკიდებულებას სახელმწიფოში არსებულ სხვა და სხვა ლიტერატურულ ჯგუფებისადმი.

ცეკას რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პროლეტარიატი, თავის ხელმძღვანელობის განმტკიცება და გაფართოებასთან ერთად უნდა ეცადოს დაიპყროს მხატვრული ლიტერატურის პოზიციებიც.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ პროლეტარულ მწერლებმა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს ხელმძღვანელობა ამ დარგში. ასეთი ხელმძღვანელობის მოპოვება ძალით არ შეიძლება. ამიტომ პარტია უნდა დაეხმაროს ამ მწერლებს ხელმძღვანელობის ისტორიული უფლების მოპოვებაში. გლეხ მწერლებს პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

შემდეგ ც. კ. წინადადებას იძლევა ფრთხილად მოეპყრან მწერლებს არა პროლეტარული წრიდან, ე. წ. „თანამგზავრებს“, რომელნიც სცდილობენ ალღო აუღონ ახალ ცხოვრებას.

გარდა ამისა რეზოლიუცია წინადადებას იძლევა, მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები პროლეტარულ მწერლების შორის კომუნისტური მედიდურობისა და წარსული კულტურული მემკვიდრეობისათვის ანგარიშ გაუწევლობის წინააღმდეგ.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისაგან

ცხადდება იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომელთაც შემოწმების დროს მიესაჯათ ესა თუ ის პარტსასჯელი, რომ თუ ისინი არ ეთანხმებიან ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას, რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში გასაჩივრებას წესი შემდეგია: განცხადებები რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სახელზე იგზავნება ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიაში (თბილისი), სადაც გამოემგზავრებიან საჩივრების განსახილველად რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები.

ახალი რაზმები ველზე

21 ივნისს ჩვენმა პარტსკოლამ გამოუშვა სამოცდა ხუთი პოლიტიკურად მომზადებული და ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული ამხანაგები.

ცხრა თვის დაუღალავმა მეცადინეობამ კურსანტებს შეასწავლა უნარიანი და აქტიური მუშაობა. არ არის ისეთი კურსანტი, რომელიც თავისუფლად არ აკეთებდეს მოხსენებას ამა თუ იმ თემაზე.

აღსანიშნავია, რომ კურსანტების გამოშვება ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც პარტიისა და ხელისუფლების წინაშე დგას მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანების, როგორც სოფლად, აგრეთვე ქალაქად.

ქვედა აპარატები სოფლად, როგორც ვიცით, მოისუსტებენ.

სკოლიდან დაბრუნებული ამხანაგები პირველ ყოვლისა მიეშველებიან სოფლის მუშაკთ.

ა. გ.

ვამაგრებთ კავშირს უპარტიოებთან

(წიფნარის ა. ლ. კ. კ. უჯრედი, გურია)

სოფელ წიფნარის ა. ლ. კ. კ.-რის უჯრედი მტკიცე ნიადაგზე სდგას.

კრებები სისტემატიურათ მიმდინარეობს, აგრეთვე პოლიტწრის მეცადინეობაც. უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა ჩვენი რიგებისაკენ დიდია.

ეს ერთი მხრივ იმის შედეგია, რომ უჯრედი დიდ ყურადღებას აქცევს უპარტიო ახალგაზრდობათა შორის მუშაობას.

ხშირათ გვიხდება უპარტიო ახალგაზრდობასთან გაერთიანებული კრებები, რაიც იწვევს ურთიერთშორის კამათს და სასურველათ ტარდება.

აგრეთვე კომპარტიასთან კარგი დამოკიდებულება გვ ქვს. უნდა ითქვას, რომ რაიკომიც დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს უჯრედს.

ამხანაგი რაიკომის მდივანი ხშირათ მოდის ჩვენ უჯრედში და აკეთებს მოხსენებებს სხვადასხვა თემაზედ, კავშირის წევრები გულდასმითა და დიდი სიხალისით ეგებებიან.

ახკორი გრიშა მეფარიშვილი.

მუშკოოპის პურის საცხობის კომუჯრედში

12 ივნისს მუშკოოპის მე-2-ე პურის საცხობში შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიული და უპარტიო მუშები— რიცხვით 30 კაცი.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება კოოპერაციის შესახებ;
2) ანკეტების გადასინჯვა მუშების კანდიდატებათ მიღებისათვის პარტიაში
და 3) დღიური საკითხები.

მოხსენება გააკეთა კოოპერაციის შესახებ ქართულ ენაზე ამხ. სიბინიშვილმა, სომხურ ენაზე ამხ. სიროპიანმა. მომხსენებლებმა ვრცლათ გააცნეს მუშებს საკითხი. მუშებმა მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც ამომწურავი პასუხი იქნა მიცემული.

კრებამ მოხსენების გამო ერთხმად გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

პარტკორი ლონგინოზი.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი

ლითოგრაფიის ქვა.

ამ ზაფხულზე საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება იწყებს საქართველოს სამთო-სამრეწველო მადნების გამოკვლევას. იმ მადნებს შორის, რომელთა გამოკვლევის განზრახვა აქვს სამთო განყოფილებას, აღსანიშნავია ლითოგრაფიული ქვა. ეს უკანასკნელი მადანი მთელს დედამიწის ზურგზე მოიპოვება მხოლოდ ბავარიაში, საიდანაც გააქვთ ყველა ქვეყნებში. ომამდე რუსეთში შემოჰქონდათ ბავარიიდან ყოველწლიურად 700 ათას ფუთამდე ლითოგრაფიული ქვა. ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში პოლიგრაფიული საქმე წარმატებით ვითარდება და ერთი ორად წინ უსწრებს ომამდე არსებულ დონეს. ამასთან პოლიგრაფიული წარმოება [illegible] საჭიროებს ლითოგრაფიულ [illegible], რომლის შემოტანამ გერმანიიდან [illegible] ამ მადნის მოპოვების გართულების გამო (ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო მადანის რაოდენობამ იკლო). საქართველოში პოლიგრაფიული [illegible] რამოდენიმე ალაგს [illegible] ღებთ დიდ მოთხოვნილებას ლითოგრაფიულ ქვაზე, ლითოგრაფიულ წარმოებას ჩვენში დიდი მომავალი აქვს.

გრაფიტი.

გამოკვლევის მეორე ობიექტი არის გრაფიტი, რომელიც საქართველოში აღმოჩენილი იქნა გასულ წელს, მაგრამ ზამთრის დადგომის გამო გამოკვლევის დამთავრება ვერ მოხერხდა. შარშან წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო მაინც, რომ ეს მადანი ყურადღების ღირსია, რადგან თავისი ღირსებით საქართველოს გრაფიტი არ ჩამოუვარდება უცხოეთის ჯიშებს. საბჭოთა კავშირში გრაფიტი მოაქვთ შორეული ტურუხანის მხრიდან. ამ კუთხის გრაფიტის დიდი ნაკლი ის არის, რომ ძნელი ხდება მისი მექანიკური დამუშავება. როგორც ანალიზმა დაამტკიცა ადგილობრივი ჯიშები კი უფრო ფაქიზი და ადვილად დასამუშავებელია. საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად საჭიროებს 4.000 მეტრიულ ტონა გრაფიტს, ხოლო საშუალო ღირებულება გირვანქა გრაფიტისა ამერიკულ ბაზარზე უდრის 4—8 ცენტამდე.

მელიორაცია საქართველოში

საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საქართველოში სამელიორაციო მუშაობის ხუთწლიანი გეგმა.—5 წლ. განმავლობაში სრულიად უნდა დამთავრდეს სამელიორაციო მუშაობა საქართველოში.—პროექტის თანახმად საქართველოს მელიორაციას დასჭირდება 22.675.000 მანეთი.

ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ წარდგენილი იყო ა | კ. საგეგმო კომისიაში ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმა ა | კ. მელიორაციისა.

საქართველოს საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციამ მიზანშეუწონლად ჩასთვალა ამ გეგმის ის ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს მელიორაციას. იგი რადიკალურად იქნა შემცირებული, საშუალებათა სასტიკად განსაზღვრულობის გამო, განსაკუთრებით 1925—26 წელში გათვალისწინებული სამუშაოები, რის გამოც ამწლისათვის გამოთხოვილი თანხებიც შემცირდა ორჯერ.

მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის არ იქნა გამორიცხული და შეტანილ იქნა გეგმაში შემდეგი აუცილებელი სამუშაოები: ჰიდრო-მეტრია (ზომვა) ადგილობრივ წყლის სისტემების გამოკვლევა, ბათომის და აფხაზეთის ჭაობების ამოშრობა, ნაგომრის რაიონის მორწყვა, სამგორის მორწყვა, ალაზნის გაღმა მიდამოების გამოკვლევა, შირაქისათვის წყლის მიწოდება, წყალდიდობასთან ბრძოლა (მარტო ცხენის-წყალი უქადის აღგვას მოკლე ხანში მთელი რიგ სოფლების და 100.000 დესეტინა მჭიდროდ დასახლებული მიწის წალეკვას).

საერთოდ აღნიშნულ გეგმის თანახმად უნდა შესრულებულ იქნეს შემდეგი სამელიორაციო სამუშაოები: უნდა მოირწყოს ალაზნის, ტირიფონის, ელდარის, სამგორის, დიღომის, ვანი-ტობანიერის, ნაგომრის, დოგლაურის, ყარაიაზის, ბანძა-აბაშის, აშურიანის, ბორჩალოს მაზრის, სოღანლუღის, დიმი-როკითის, სკრაქარელის, დოეს-გრაკალის, ხოვლე-ახალქალაქის და ძალისის-ველები.

აფხაზეთში უნდა დაშრობილ იქნეს ჭაობები და გაყვანილ იქნეს სამურძაყანოს არხი.

აჭარისტანში ამოშრობილი უნდა იქნეს ქობულეთის და ბათომის ჭაობები.

სამხრეთ-ოსეთში მორწყულ უნდა იქნეს 5000 დესეტინა მიწა.

ამოშრობილი იქნება ფოთის ჭაობები, მოეწყობა შირაქისათვის წყლის მიწოდება, მოეწყობა გამოკვლევითი მუშაობანი და გაძლიერებული იქნება ბრძოლა წყალდიდობასთან, გაყვანილ იქნება წვრილი არხები და სხვა.

მთელ ამ საქმეს მოუნდება გეგმის თანახმად 1925 | 26 წელში— 3.200.000 მანეთი,—26 | 27 წელში —4.765.000 მანეთი,—27 | 28 წელში—4.940.000 მანეთი,—28 | 29 წელში—4.860.000 მანეთი და 29 | 30 წელში—4.940.000 მანეთი. ე. ი. სულ 22 675.000 მანეთი.

სამელიორაციო მუშაობის ფინანსებით უზრუნველყოფის საქმე ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია და იგი გამოირკვევა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავრობასთან, როცა შედგენილი იქნება საერთო-სამელიორაციო გეგმა.

კოოპერაცია

კოოპერატიული ქრონიკა

ზედნადებ ხარჯების შემცირებისათვის.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ კოოპერატივების გამგეობის წევრები თუ რწმუნებულები თბილისში საქონლის შესაძენად თუ სხვა რამ საქმისათვის ჩამოსვლისას დიდხნით რჩებიან აქ, რაც მძიმე ტვირთად აწვება კოოპერატივების ისედაც მცირე თანხებს, აძვირებს კოოპერატივების საქონელს და საერთოდ ზრდის მათ ხარჯებს. ამ არასასურველ მოვლენის აღკვეთის მიზნით ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ წესად შემოიღო, რომ რაიონიდან კოოპერატივის საქმეზე ჩამოსული კოოპერატიული მუშაკები როგორც ჩამოსვლის, ისე უკან დაბრუნების დღეს გამოცხადდენ აღრიცხვაზე ცეკავშირში.

ბოროტმოქმედებები კოოპერატივებში.

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებაში შემოსულ ცნობების თანახმად სხვადასხვა ბოროტმოქმედებები კოოპერატივებში თავის დროზე ვერ პოულობს კვლევა-ძიებას და ბოროტმოქმედთა საქმეებს ადგილობრივ სასამართლო უწყებებში ხშირად არ ეძლევა სწრაფი მსვლელობა. კოოპერაციის პრესტიჟის და რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებისათვის ცეკავშირმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს უწყების უმაღლეს ორგანოთა წინაშე.

გურჯაანის კოოპერატივი.

გურჯაანის კოოპერატივმა გახსნა ივლისის 16 დან სოფ. ჩალაუბანში თავისი სავაჭრო განყოფილება. ამავე კოოპერატივმა გახსნა სად. გურჯაანთან ივნისის 14 დან უნივერსალური სავაჭრო მაღაზია, განზრახულია ორი პურის საცხობის მოწყობა. მოკლე ხანში გაიმართება ელექტრო-სადგური და კინო. კოოპერატივმა სოფლის ბაღში მოაწყო კიოსკი, სადაც იყიდება ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, სამოსწავლო ნივთები და მინერალური წყლები.

კოოპერაცია და სათანაბრო გადასახადი

ცეკავშირის გამგეობამ განმეორებით აღძრა შუამდგომლობა საქართველოს მომხმარებელთა კოოპერატივების გასულ 1924 წლის ბრუნვების სათანაბრო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ.

ახალი კოოპერატიული ორგანიზაციები

საქართველოს უმაღლეს ეკონომ. საბჭოსთან არსებულმა კოოპერაციის საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა რეესტრში გაატარა შემდეგი ორგანიზაციები: 1) დაბა სურამის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „შრომა“, 2) ურიათუბნის მევენახეთა ამხანაგობა „ალაზნის კ[illegible]“, 3) ყარაიაზის რაიონის სოფ. კოპუხაკიას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კრასნი ბიელნიაკი“, 4) თელავის მაზრის მელორეთა ამხანაგობა „წინსვლა“, 5) დიდი თონეთის წველა-დღვების არტელი „თონეთი“, 6) გორის მაზრის მეფუტკრეთა ამხანაგობა „ქართლის დაფლი“, 7) სოფ. ყარაბულახის წველა-დღვების არტელი „ყარაბულახი“, 8) ზემო სვანეთის კოოპერატივი, 9) კიზილ-კილისის წველა-დღვების არტელი, 10) სოფელ გავაზის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „მეფუტკრე“, 12) ლაჩხუთის მეფუტკრეთა ამხანაგობა „კრიპუჭი“, 13) მახინჯაურის მთლიანი კოოპერატივი, 14) ჩაქვის მთლიანი კოოპერატივი „აჭარისტანი“, 15) საჯამიასერის მთლიანი კოოპერატივი, 16) ორთა ბათომის მთლიანი კოოპერატივი.

სასოფლო მეურნეობა

ღვინის გასაღების კრიზისი კახეთში

ამ უკანასკნელ ხანებში შეწყდა ღვინის მოძრაობა შინაურ ბაზარზე. ამ გარემოების გამო თითქმის სავსებით შეჩერდა ღვინით ვაჭრობა კახეთში. თუ კი ვინმე ყიდულობს ღვინოს, ყიდულობს მეტად ხელსაყრელ ფასებში: თითოეულ ვედრო ღვინოში შემყიდველები იძლევიან ორ მანეთს ან ორმანეთ ნახევარს. ღვინის მუშტრის სიმცირის გამო, შემყიდველებისათვის იქნება მეტად ხელსაყრელი პირობები: გლეხებისგან მათ ღვინო მიაქვთ ნისიათ ზემოხსენებულ ფასებში. ღვინის ჩაბარების დროს გლეხებს აძლევენ პირობით ფასის ერთს მეოთხედს ან მესამედს. დანარჩენს კი იხდის ორ-სამი თვის შემდეგ.

ამგვარად შემყიდველი სოვდაგრები გლეხის ხარჯზე ქმნიან საბრუნავ თანხას და ნელ ნელა ვინმე ისქელებს ჯიბეს გლეხი - მწარმოებელი კი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში აუარებელი ენერგიის ხარჯავს ვენახის გასაშენებლად და მოსავლელად, ხშირად ხარჯებსაც ვერ ინაზღაურებს.

ღვინის მოსავალი ფილოქსერის გავრცელების მიერ, ძალიან შემცირდა: ყოველ დესეტინაზე ამ უკანასკნელ წლებში 200 ვედროს ნაცვლად მოდის 60—80 ვედრო, ხოლო ღვინის ფასი კი დაახლოებით ორჯერ სამჯერ—მეტად დაეცა, ვიდრე იყო ამ ათი—ხუთმეტ წლების წინად.

კახეთის გლეხობა ფიქრობდა, რომ აქციზის მოხსნა ღვინოზე და ღვინის გადასახადი ტარიფის შემცირება გამოასწორებდა მდგომარეობას, მაგრამ სამწუხაროდ ამ შეღავათებს ჯერჯერობით არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

ჯერ-ჯერობით გაუსაღებელი რჩება შარშინდელი მოსავლის მარაგი, მაშინ როცა ახალი სამეურნეო წლის მოსავალი კარზეა მომდგარი.

საერთოდ ზაფხული წარმოადგენს საუკეთესო სეზონს ღვინის გასაღებისათვის. ივნისსა და აგვისტოში გასაღებული უნდა იქნეს მთელი შარშანდელი მოსავალი. ჯერ კიდევ დრო არის დაეხმარონ გლეხს ღვინის გასაღების საქმეში. საამისოდ კი საჭიროა, რომ შეტანილი იქნეს ცვლილებები აქციზის ამოკრების წესში.

კ—ი.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის

საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია

მძლავრი რაიონული ჰიდრო-ელსადგურის მოწყობა ქუთაისში.—საქ. საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს საულეტეხილო უბნის ელექტროფიკაციას.

საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა საქართველოს და ა | კ. სახ. საგეგმო კომისიებს წარუდგინონ მოსაზრებანი ა | კ. რკ. გზ. საულეტეხილო უბნის ელექტროფიკაციის შესახებ.

დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც მოხდა ამ დღეებში საქ. საგეგმო კომისიაში, გაირჩა ეს საკითხი და გამოირკვა შემდეგი:

გზათა სახალხო კომისარიატი და ა | კ. რკ. გზების სამმართველო ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოეწყო ფერო-მარგანეცის წარმოება საქართველოში—ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ჩაითვლება ჰიდროელსადგურის აგება ქუთაისში მდ. რიონზე, რომლის პროექტიც შედგენილია ფერო-მარგანეცის კომისიის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოება არ მოეწყო, მაშინ არჩევანი მოხდება ტყიბულსა და ქუთაისს შორის.

საკითხის ასე დაყენებით და ტფილის-ხაშურის რკ. გზის უბნის ელექტროფიკაციის აუცილებლობის გამო ყველაზე უფრო რაციონალურად სთვლიან ტყიბულის სადგურს, რომელიც „ზაჰეს“-თან ერთად შესაძლებლათ გახდის რკინის გზის, ტფილისის და აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სამრეწველო დარგების ელექტროფიკაციას.

სახ. მეურნეობის ელექტროფიკაციის მიზნით მიზანშეწონილად არის ცნობილი: ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგური აღმ. საქართველოში შეუერთდეს ასეთსავე სადგურს დასავლეთ საქართველოში. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს პროექტი ქუთაისის სადგურისა.

ყოველივე ამ მოსაზრებების შემდეგ თათბირმა აუცილებლად სცნო, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა საულეტეხილო უბნის ელექტროფიკაციისათვის, რისთვისაც წარმოდგენილ პროექტთა შორის ყველაზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ქუთაისში სადგურის აგების პროექტი, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს გეგმით გათვალისწინებულ საქართველოს სახ. მეურნეობის და აგრეთვე როგორც საულეტეხილო უბნის, ისე დასავლეთ საქართველოს მრეწველობის ელექტროფიკაციისას და განათებისას.

ამავე სადგურს შეუძლია მიაწოდოს ენერგია ფერო-მარგანეცის ქარხანას, თუ ასეთი აგებული იქნება.

ვინაიდან ქუთაისის სადგურს ექნება რაიონული მნიშვნელობა, მისი მოწყობა თათბირმა მთავარ ამოცანად ჩასთვალა და დაადგინა შეიტანოს იგი საკავშირო ელექტროფიკაციის საერთო გეგმაში.

ქუთაისის სადგურის სიმძლავრე იქნება 29.000.000 კილოვატ-საათი, ღირებულება კი მისი განისაზღვრება, ფერო-მარგანეცის კომისიის გამოანგარიშების თანახმად—7.835.000 მანეთად.

საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ (29 ივნისს) სხდომაზე ზემოაღნიშნული დასკვნა თათბირისა დაამტკიცა.

დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის [illegible] სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებს და რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის პროცესში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გათვალისწინებულ ყველა კონკრეტიულ ღონისძიებათა და წინადადებათა ცხოვრებაში გატარებას. საკმარისი არ არის მარტო დათვალიერება და ამა თუ იმ ნაკლის გამომჟღავნება. საჭიროა მაშინვე იქნას გადადგმული რეალური ნაბიჯები ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად, აპარატის გასაჯანსაღებლად და ისეთ პირობების შესაქმნელად, როცა ერთხელ შემჩნეული ნაკლი აღარ განმეორდება. ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, როცა დაინტერესებული დაწესებულებანი სასწრაფოდ შეასრულებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებებს და დადგენილებებს. ამას უნდა სცდილობდნენ პირველ ყოვლისა უწყებათა და დაწესებულებათა თვით ხელმძღვანელები, რომელნიც პასუხისმგებელი არიან მათდამი რწმუნებულ მმართველობების და სამეურნეო ორგანოების მდგომარეობისა და მუშაობისათვის. ამას უნდა სცდილობდეს აგრეთვე ყოველი ჩვეულებრივი თანამშრომელი, რომელიც თავისი მუშაობით დაკავშირებულია ამა თუ იმ დაწესებულებასთან და დაინტერესებულია მისი განვითარებით და გაუმჯობესებით.

აკუთვნებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებათა შესრულებას, სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო მოაწყოს პერიოდულად საკონტროლო-შესამოწმებელი კვლევა-ძიება, რომლის მიზანია გამოარკვიოს რამდენად ჩქარა და როგორ ტარდება ცხოვრებაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებანი, რამდენად ცხოველმყოფელი და პრაქტიკულად სწორი აღმოჩნდა ეს დადგენილებანი, რა შედეგი მოჰყვა მათ და შეიტანა თუ არა მათში უწყებამ ან დაწესებულებამ რამე ცვლილება ან დამატება.

ამისდამიხედვით, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი სთხოვს საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებს მუდმივი თვალყური ადევნონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა წინადადებათა და დადგენილებათა შესრულებას, დაუყოვნებლივ აცნობონ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას მათი ცხოვრებაში გატარება და ყოველგვარი შეცვლა და დამატებანი და აუცილებლად აღნიშნონ ის მიზეზები და საფუძვლები, რომელმაც ასეთი ცვლილებები გამოიწვია.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი

ნაზარეტიანი.

წითელ ჯარში

კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ

მოსკოვი, 30 ივნისი. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ შეიმუშავა და საკავშირო მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა კანონპროექტი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

ეს კანონი დამუშავებულია შემდეგ საფუძვლებზე: საბჭოთა კავშირის დაცვა იარაღით ხელში წარმოადგენს ყველა მშრომელებისათვის არა მარტო საპატიო უფლებას, არამედ მოვალეობას. არამშრომელ ელემენტებს წართმეული აქვთ საბჭოთა კავშირის იარაღით ხელში დაცვის უფლება და ამის ნაცვლად გაწვეულ იქნებიან სხვადასხვა ვალდებულებათა მოსახდელად და გადაიხდიან ფულად გადასახადს როგორც მშვიდობიან, ისე საომარ მდგომარეობის დროს.

იმ ადგილების მოქალაქეთა მიმართ, რომელთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლა ადგილობრივი, ეკონომიური და სხვა მიზეზთა გამო საერთო წესით შეუძლებელია, საკავშირო ცაკი ადგენს სამხედრო სამსახურის გავლის საგანგებო წესებს.

ყველა მშრომელ მოქალაქეთათვის, რომელნიც ფიზიკურათ გამოსადეგნი არიან სამხედრო საქმისათვის, წესდება სავალდებულო სამხედრო ბეგარა 21 წლის ჰასაკიდან.

სავალდებულო სამხედრო ბეგარა განისაზღვრება: გაწვევამდე წინასწარ მომზადებაში, ნამდვილ სახედრო სამსახურში და თადარიგში ყოფნით. ჯარში გაწვევამდე წინასწარი მომზადება ტარდება არა სამხედრო წესით, 19 წლიდან დაწყებული ორი წლის განმავლობაში თითო თვით.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქენი გაწვეული იქნებიან 21 წლის შესრულებისას, გაწვევის წლის 1 იანვრიდან.

ნამდვილ სამხედრო სასახურის დამთავრების შემდეგ მოქალაქენი გადარიცხულ იქნებიან მუშურ-გლეხური არმიის სათადარიგო ნაწილში 40 წლამდე.

საბჭოთა სასამართლო

ერგემლიძის საქმე

30 ივნისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა მხარეების კამათი.

თავის საბოლოო სიტყვაში სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. გახოკიამ პასუხი გასცა დამცველებს შ. მესხიშვილს და შურღაიას, გააკრიტიკა მათი მთავარი დებულებები და დამტკიცებულად სცნო ერგემლიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება.

ილაპარაკეს დამცველებმაც. შემდეგ საბოლოო სიტყვა მიეცა ბრალდებულ ერგემლიძეს, რომელმაც თავი [illegible] და სთხოვა სასამართლოს სრულიად მოეხსნა მისთვის ბრალდება.

განაჩენი

დღის 12 საათზე სასამართლო გავიდა სათათბირო დარბაზში განაჩენის გამოსატანად. საღამოს სრულ 6 საათზე სასამართლოს გამოაქვს შემდეგი განაჩენი:

ერგემლიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლში (მკვლელობა გაუფრთხილებლობის ნიადაგზე), ჩაითვალოს დაუმტკიცებლად,—და რადგან აქ არის ერგემლიძის მხრივ ქმედობა, გათვალისწინებული მე-11-ე მუხლში (შემთხვევითი, უბრალო მკვლელობა), ბრალდებულ ერგემლიძე ამავე მუხლის ძალით განთავისუფლებულ იქ[illegible]

მუშათა ცხოვრება

ასე არ შეიძლება

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

ქალაქის კომუნალურმა განყოფილებამ კარგად იცის, რომ ლენინის უბანში მცხოვრებთა უმრავლესობა მუშებისაგან შესდგება. მიუხედავად ამისა, კომუნალურ შემფასებელ კომისიას ამისათვის ყურადღება სრულებითაც არ მიუქცევია და ისე შეუფასებია აქაური ალიზით და თიხა-ქვით მოლესილი სახლები, როგორც ქალაქის ცენტრში ფასდება. ადვილია ტრაფარეტულად მუშაობა, მაგრამ ცოტათი იმასაც უნდა ექცეოდეს ყურადღება, თუ ვის ხვდება ეს მძიმე უღელი საზიდავად.

„მე ხელთ მაქვს ერთი სახლის შეფასების ქაღალდი. მართალია, ეს სახლი ორ თვალიანად იწერება, მაგრამ სულ შეადგენს 60 კვადრატიულ არშინს და ნაშენებია ტალახით და თიხაქვით. კრამიტით დახურული სამ არშინიან ქუხნით. ეს სახლი შეფასებულია 1.442 მან. და 20 კაპეკად. იმავე სახლის ახლოს 6 ოთახიანი სახლი წარმოადგენს აგურის შენობას; თითოეულ ოთახის სიკრცე უდრის 42 კვადრატ. არშინს. ეს უკანასკნელი სახლი კი 300 მანეთად არის შეფასებული ასეთი მოვლენები მუშებს გულს უტეხს და ახალი შენობების აშენების მაგივრად დღეს ვხედავთ რომ ეს ქოხები ნგრევის გზაზე დგანან.

სად არის ჩვენი პასპორტები

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

მიმდინარე წლის აპრილის 4-იდან თუთუნის ქარხანა „პროლეტარის“ ადგილკომმა, სასწრაფოდ მოკრიფა ყველა მუშებისაგან ბაჟფორტისათვის გადასახადი ფული და ანკეტის ფურცლებთან ერთად გადასცა, სადაც ჯერ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ძალიან ბევრი დაგვიანებული იყო ერთი თვე, მაგრამ ორასამდე მუშა დღესაც ველოდებით და ჯერაც არავითარი პასუხი არ არის; [illegible] თვეც გადის და არ ვიცით, რად დააგვიანეს ასე. ჩვენ მალე შვებულებაში უნდა წავიდეთ და ვინ იცის სად და რა დროს დაგვჭირდება ჩვენი პირადობის მოწმობა, ჩვენ. მეორე დიდი ხანია, გადავარჩით ის დაწყევლილი მეფის რეჟიმი, როდესაც მისი ჩინოვნიკები ყოველ უბრალო ქაღალდის მიღებისათვის გვეუბნებოდნენ „პრიდი ზავტრა“ ო და ამგვარათ გადიოდა თვე და წელიწადი. ახლა კი საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთ გარემოებას ადგილი არ უნდა ქონდეს.

მილიციის უფროსმა უნდა გასცეს სათანადო განკარგულება, რომ მოგვცენ ჩვენი პირადობის მოწმობები, რადგანაც ამჟამათ ჩვენთვის აუცილებელი საჭიროებას შეადგენს ისინი.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

ნათ[illegible]

(რკ. გზ. სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

მთავარ სახელ. სადურგლო საამქროს გამგე ახობაძე არ იქცევა სამართლიანად, როდესაც ხდება მუშებისთვის ხარისხის მომატება ან და დაბალ სამუშაოდან მაღალზედ გადაყვანა, ამ დროს ის იჩენს „ნათლიმამობას“ და „ნაცნობობას“. ამას წინათ, როდესაც იყო მოთხოვნილება რომ მრანდველ განყოფილებაში სამმაგი მუშაობა გამართულიყო, მან მოაწყო საქმე ისე, რომ გარედან შემოიყვანა საქმის სრულიად არა მცოდნე მუშა. დაუნიშნა მას ხელფასი შვიდ-შვიდი ხარისხით ჩვენს საამქროში, ძველი მომუშავეები კი არ გადაიყვანა იქ.

ამის გარდა შავი მუშებიდან მხერხავად გადაიყვანა შაქრო წერუაშვილი, ეკუთვნოდა გადაყვანა ნიკო მაკარაშვილს, როგორც უფრო ძველს და გამოცდილ მუშას.

საჭიროა ასეთ მოვლენებს მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი ლა-ტუ-ლი.

გამოუგზავნილი წერილებიდან

საქ. ცენტრ. პარტსკოლის პირველი გამოშვება.

ა | წ ივნისს საქართველოს ცენტრპარტსკოლამ პირველად გამოუშვა პოლიტიკურად მომზადებული გაწვრთნილი მუშაკები, რომელნიც აღჭურვილნი გონებრივი იარაღით—ახლა არიან შეებრძოლონ კონტრ-რევოლიუციას და მოსპონ იგი. მათ გამოშვებას აქვს კიდევ ის მნიშვნელობა, რომ თვით მუშა-გლეხები გლეხებს ადვილად შეასმენ სინამდვილეს, ავკაცს და აღმოფხვრიან ჯერ-კიდევ შერჩენილ მტრულ ელემენტებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, და თავიანთი მაგალითით გაუხსნიან გლეხობას მადას სწავლისადმი.

ინჟ. ს. კ.

მუშათა ქრონიკა

— **უბედური შემთხვევა.** 25 ივნისს მთავარ სახ. სადურგლო საამქროს დურგალმა მიხ. მელნიკოვმა მრანდველ მანქანაში მოყოლა მისი დროს მარჯვენა ხელის [illegible]რი, თითი მანქანამ მოსჭრა. უნდა ითქვას, რომ რამოდენიმეთ სავრთხილო იმ მანქანაზე მუშაობა, მაგრამ ამავე დროს გაუფრთხილებლობასაც ჰქონდა ადგილი.

საჭიროა ყველა იმ მანქანაზე მომუშავეები ფრთხილად ეპყრობოდნენ მანქანას.

მუშკორი ლანტკურელი

ქრონიკა

— **რძის ფულ.** დამზღვევს კასა აცხადებს, რომ რძის ფულის მისაღებად საჭიროა წარდგენილ იქნეს დამზღვევი წიგნაკი ყოველ ცალკე შემთხვევაში.

— **ხეხილის სანერგე.** წარმოკავშირმა სოფ. ციხისძირში 20 დესეტინა მიწაზე მოაწყო ხეხილის სანერგე.

— **წითელარმიელთა** და ფლოტის ბაღში დღეს გაიმართება წ.-არ. და ფლოტის სახლის პოლიტგანათლების მუშაკთა თათბირი, სამხედრო ნაწილების კლუბების გამგეთა თანდასწრებით.

— **წყალსაზომები.** თბილისის აღმასკომის წყალსადენის სამმართველომ მოსკოვში შეიძინა 1700 ცალი წყალსაზომი. სწარმოებს წინასწარი მუშაობა წყალსაზომების აბონენტების ბინებზე დასადგმელად.

— **გამასწორებელ სახლებთან** არსებულ სახელოსნოების აღსადგენად შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა გადადო 1000 მან.

— **სახ. მედიკამენტების** სავაჭრო ლაბორატორიამ მანქანების საფუძლიანად შეკეთების შესახებ დაიწყო მუშაობა. მზადდება საექიმო და საერთოდ სახმარებელი საპონი.

— **საბინაო ამხანაგობები.** წარსული თვის განმავლობაში თბილისში დამტკიცებული იქნა 7 ახალი საბინაო ამხანაგობა.

— **ბამბის დათესვა.** წარმოკავშირმა წელს დასთესა 6 ათას დესეტინაზე ბამბა, საიდანაც მოსავალს მოელიან 1500 ფუთ ბამბას.

— **სახ.-სამ. კოოპერაციის ზრდა.** 1923 წლის იანვრიდან წარმოკავშირის სახ.-სამეურნეო ორგანიზაციები 7-დან გაიზარდა 150-მდე.

— **„სამხედრო ქიმია“** გამოვიდა და იყიდება გამრეკლიძის მიერ შედგენილი წიგნი: „სამხედრო ქიმია“. ქართ. მეორე დივიზიის სამხ. სამეცნ. საზოგადოების გამოცემა.

— **მოხსენება განათლების მუშაკთა კლუბში.** განათლების მუშაკთა კლუბში (პლეხანოვის პრ. 65), ოთხშაბათს პირველ, ივლისს, საღამოს 8 საათზე პედაგოგი მელიტონ კელენჯერიძე გააკეთებს მოხსენებას: „ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობა“ შრომის სკოლებში და მისი სასურველი დაყენება მომავალში ახალი პროგრამების და პრინციპების თანახმად.

ხელოვნება

— **ვახტანგოვის სახელობის სტუდიის** პირველი გასტროლი გაიმართება დღეს, ოპერის თეატრში. წარმოდგენილი იქნება „პრინცესა ტურანდოტ“.

— **„საბედისწერო გზით“.** გამოვიდა პ. ირეთელის ახალი მოთხრობა: „საბედისწერო გზით“. წიგნი 55 გვ. და ღირს 50 კაპ.

— **განათლების მუშაკთა კლუბში** დღეს ს. კელენჯერიძე წაიკითხავს ლექციას ქართული ენის სწავლება შრომის სკოლებში.

— **ფოთის თეატრი.** ფოთის თეატრის დირექციამ მომავალ სეზონის ორგანიზაციის მოსაწყობად და რეჟისორად მიიწვია იუზა ზარდალიშვილი.

— **ქუთაისის აკადემიური დასი** ამჟამად წარმოდგენებს მართავს ხესტაფონში.

— **დისპუტი.** ორშაბათს 6 ივლისს პროფკავშირების სასახლეში გაიმართება დისპუტი „ქართულ ფუტურიზმზე“. დეკლარაცია: ჟანგო ღოღობერიძე—მოხსენებები სიმონ ჩიქოვანი ნ. ჩაჩავა და სხვები. კამათში მონაწილეობენ ყველა ლიტერატურული ჯგუფები.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** 29 ივნისს რკინისგზის ლიანდაგის გასწვრივ სოფ. მარტყოფიდან მომავალ გლეხებს ჯავახიშვილს და დილმელაშვილს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაძარცვეს.

— **მკვლელობა.** გუშინ, დილის 4 საათზე, რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა აღმოაჩინეს სასიკვდილოთ დაჭრილი მეეტლე ბაიკო გულიანოვი ხაირუში, რომლისთვისაც ბოროტმოქმედებს წაურთმევიათ ეტლი და ფული.

— **უბედური შემთხვევა.** 29 ივნისს, საღამოს, ამატუნის ქ. № 8, პირველ სართულიდან გადმოვარდა 5 წლის ბავშვი მ. ჩუბინკო, რომელიც სასიკვდილოთ დაშავებული გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** 28 ივნისს, დილით, [illegible] მოქ. ზიგაურ-ისარიევს ჯიბიდამ ამოაცალა ფული.

— **გაძარცვა.** 24 ივნისს, დღით, სოფ. ცხვარიჭამიას ახლო მოქ. ისა აბოევ-აგიანს თავს დაესხნენ 3 შეიარაღებული პირნი და წაართვეს 50 მან. ფულად და ნავაჭრი ნივთები. იმავე ბოროტმოქმედებმა რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ მილიციონერ რუხაძეს წაართვეს ვინტოვკა და 50 ტყვია.

— **ქურდის შეპყრობა.** 28 ივნისს დეზერტირის ბაზარზე გარეჯრის დუქნიდან მოიპარეს რამდენიმე წყვილი სანდალი. ქურდი მ. დავერაშვილი შეიპყრეს.

— **გაუპატიურება.** 29 ივნისს, 19 თებერვლის ქ. № 75, მცხოვრებ მარიამ ჩერნიშევამ განაცხადა მილიციაში, რომ მოქ. ტრეტიაკოვმა გააუპატიურა მისი შვილი 7 წლის ბავშვი მიხაილ.

სოფლად

საქმე გაჩერებულია

ლმი-როკით დიდველის არხის გაყვანის აზრი ჯერ კიდევ 1902 წ. დაიბადა. მას შემდეგ ამ კითხვამ ათეული წელი ნიკოლოზის კანცელარიებში, შემდეგ მენშევიკური მთავრობის ერობაში და საქმის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებას არაფერი ეშველა.

საქართველოს გასაბჭოებიდანვე მთავრობამ მოგვაწოდა 400 ფუთი რკინა, ორი ვაგონი ხორბალი და თავის თავზე აიღო ტეხნიკურ პერსონალის შენახვა.

შემდეგ და შემდეგ საქმე თანდათან გაჩაღდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს მუშაობა შეწყდა, რადგან გარეშე დახმარება მოგვაკლდა და იმ სამუშაოს გარდა, რომელსაც ხალხი თვითმოქმედების სახით უსასყიდლოდ აკეთებდა, სოფლებს დააწვა აგრეთვე ტეხნიკურ პერსონალის ხარჯებიც.

ამჟამად მდგომარეობა ასეთია: ექვსი ვერსის მანძილზე, მოუთავებელ არხში ჩამდგარი წყალი აჩენს ციებ-ცხელებას, ალაგ კიდევაც იქცევა და უნგრევს ეზოებს მცხოვრებლებს; ტეხნიკური პერსონალი გაშვებულია, ხელოვნური სამუშვრები არ კეთდება; მოტანილი რკინის სიფონები იჟანგება; აწყვია საწყობში რკინა და ტყუილად ვიხდით ქირას; გამგეობა თუმცა არსებობს, მაგრამ ხალხის და მთავრობის დაუხმარებლათ ვერაფერს აკეთებს.

არხის გამყვან საზოგადოების საპატიო წევრებს და ჩვენს შეფს წარმოკავშირს ასეთი მდგომარეობა ყველაზე უწინ უნდა აფიქრებდეს.

სოფლები ელიან მათ დახმარებას. ხალხი კი სიხარულით შეასრულებს მიწის სამუშვრებს და ამ რიგათ მოკლე ხანში დამთავრდება საშვილიშვილო, ხალხის საკეთილდღეო საქმე.

ა. მეტრეველი.

გამოქვაბულის პოვნა

ამა წლის 27 ივნისს თბილისის მაზრის დიდი თონეთის საყანე ადგილში მინდვრის მეველე ვანო პაპუაშვილმა ნახა გამოქვაბული. შინაგანი ფორმა გამოქვაბულის ასეთია: პატარა ხვრელი, რომლიდანაც ჩასვლება გამოქვაბულის პირველ სართულში ეს სართული არის დაახლოვებით 180 კუბიკური არშინი. შემდეგ კიდევ მიდის მეორე ხვრელი ქვევით 4 არშინამდის სიგრძით, და ჩადის მეორე, უფრო ვიწრო ოთახში, სადაც თავისუფლად იმართება ორი კაცი. შემდეგ ამისა კიდევ მიდის დაბლა ხვრელი, სადაც ჩასვლა უხერხულია ხვრელის სივიწროვის გამო.

გამოქვაბულს აღმოსავლეთით და დასავლეთით აქვს კარი. გამოქვაბულის თვალყურის დევნება დაევალა თვითონ ნახველს.

საქართველოს არქეოლოგიურ საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გამოქვაბულს.

მასწ. მირ. კუტუბიძე.

მოსწავლეა თუ მასწავლებელი

ზესტაფონის ცხრაწლედის სასწავლებელში არის მასწავლებელი შალვა ფირაძე.

რა უნდა შეიძინოს და ისწავლოს მისგან მოწაფემ? ის ქუჩებში არღანზე კლიფობის, ესებუასთან ჭიდაობის და მუდამ სამიკიტნოებში ძრომიალის მეტს არაფერს აკეთებს.

26 ივნისს ქუჩაში გაკრულია პლაკატი: „ჭიდაობს გიმნაზიის ახალგაზრდა მასწავლებელი შალვა ფირაძე“.

განა ეს დასაშვებია მასწავლებლისაგან?

პიკო.

წერილებიდან

ლიხაურის თემის ს. კვაჰადითში (გურია) არის ოთხი მოსახლე, რომელიც ერთმანეთთან ჩხუბით და კინკლაობით არღვევენ მთელი სოფლის მშვიდობიან ცხოვრებას. ხშირად ერთმანეთს ცულით და კეტებით დაერევიან ხოლმე. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ოზურგეთის მილიციამ, რადგან თემის ადმინისტრაცია, როგორც ჩანს, უძლურია მოჩხუბარ მცხოვრებლებთან ბრძოლაში.

ლიხაური.

—

კუბლიდი. ადგილობრივი ფეხბურთელთა გუნდები ფეხის მაგიერ ხელებს უფრო ამოქმედებენ იმ განსხვავებით, რომ ბურთის ნაცვლათ ხელებს მოთამაშეების სახეში გააქვს ტყაპა-ტყუპი.

მაგალითად ტრესის გუნდის ერთმა წევრმა კალანდაძემ თამაშობის დროს სილა გააწნა ამხ. მალანიას. ატყდა აყალ-მაყალი, თამაშობა ჩაიშალა, გუნდის ხელმძღვანელი გაიქცა და საზოგადოებაც უკმაყოფილო დაიშალა.

მაყურებელი.

—

მარნის თემი (სენ. მ.) არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე ჩვენი სკოლის შენობის უმწეო მდგომარეობის შესახებ. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ არც ისე ადვილი შეიქნა გარედან დახმარების მიღება. ბოლოს, ამ გაზაფხულზე, თემის საზოგადო კრებაზე დადგენილ იქნა სკოლის შენობის საკუთარ ხარჯით აგება.

მაგრამ დღეს სოფელში ბევრი შეუგნებელი ელემენტები ეწინააღმდეგებიან ამ საქმისათვის ფულის შეკრებას და ეუბნებიან ხალხს, რომ არავის ნება არა აქვს კულტურულ საქმისათვის სოფლად ფული იქნეს შეკრებილი.

ამას [illegible] გლეხების სიყვარულით სჩადიან. ნამდვილათ კი უმრავლესობა ამ ვაჟბატონებიდან უშვილოებია და არაფრათ ეპიტნავებათ მეზობლის ბავშვთა ასაღზრდელათ ნებაყოფილობით ფულის გაღება.

5 ივლისს მოწვეულია ჩვენი თემის მორიგი საზოგადო კრება და იმედია ის ერთხელ კიდევ დაადასტურებს თავის ადრინდელ დადგენილებას.

შ.

—

ს. ფასანაური და მლეთი (დუშ. მ.) აქ ძალიან გავრცელებულია საქონლის სენი—თურქულა. ექიმი-ვეტერინარი ენერგიულათ მუშაობს ავადმყოფობის წინააღმდეგ. გამოცხადებულია კარანტინი.

მ. კაიშაური.

—

ქარ. „პროლეტარი“ ჩვენი საშეფო სოფლები ყანდაურა და ახალი ბოლდანოვკა (გარე კახ.) დაზარალდენ სეტყვისა და გვალვისაგან. ამიტომ ჩვენმა ქარხანამ დაადგინა, რომ ერთ შაბათ დღეს ორი საათით მეტი იმუშაოს და ამის შრომის ფასი გადასცეს დაზარალებულ გლეხობას. ეს კარგია, მაგრამ ამით დახმარების საქმე არ ამოიწურება. საჭიროა კიდევ სხვა ზომის გამონახვა.

მუკორი ბაჟიაშვილი.

—

ს. დილიკაური (შორ. მ.) ხალხის მტრებმა დაგვიწვეს ძველათ სკოლის შენობა. მას შემდეგ სწავლა ნაქირავებ სახლში სწარმოებდა. 1923 წ. დაიწყეს სკოლის შენობის აგება, მაგრამ ამას არაფერი ეშველა. ჩვენი შეფია მეღვინეთა საზოგადოება „იმერეთი“. შეფი დაგვპირდა 300 მანეთით დახმარებას. დღემდი პირობა პირობათ რჩება. შეფო, რად დაგვივიწყე დილიკაური?

ხევისპირელი.

—

ს. ჭილკანი (დუშ. მ.) ივნისის 24 რიცხვში ამოვარდა საშინელი გრიგალი. მას მოჰყვა სეტყვა და კოკისპირული წვიმა. ხრამებიდან მოვარდა დიდი ნიაღვარი, შეიჭრა საბძლებში, ბოსლებში, მიანგრ-მოანგრია რამდენიმე წუთში ყველაფერი, გაიტაცა შინაური ფრინველები და დასტოვა სოფელი აწიოკებული.

მაგრამ სოფელი კიდევ არაფერი. დაგლიჯა ბაღების ღობეები, ძირიანათ ამოყარა ზოგან ვენახები, დასტოვა ყველგან ქვა და ნარიყალი. ხალხი ძალიან ჩაფიქრებულია იმ ზარალის გამო, რომელიც ნიაღვარმა და სეტყვამ მიაყენა სოფელს.

ნ. ბასილაიშვილი

სოფლის ქრონიკა

— **საავტომობილო მიმოსვლა.** ამ დღეებში ქუთაისში დაიწყება სამგზავრო და საბარგო ავტომობილების მიმოსვლა შემდეგი მიმართულებით: ქუთაისი—ონი, ქუთაისი—ბაღდადი, ხონი და წყალტუბო.

— **სეტყვა.** 22-24 ივნისს ახალქალაქ-ჯავახეთის მაზრებში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა მთელი ბაღ-ვენახი და ნათესები. ზარალი საგრძნობია.

— **მამულის გადაცემა.** ქუთაისის აღმასკომმა გადასცა შოგნარის თემგლეხკომს სოფ. კვახჭირში მდებარე ყოფ. ბუხრიკიძისეული მამული.

— **სოფ. უჯვაიღის,** მანგიანთ-კარის და ამილახვარიანთ კარის (დუშეთის მაზრა) მცხოვრებლებმა საკუთარი ძალებით შეაკეთეს ყველა საურმე და საცალფეხო გზები.

— **სანიტკომისიები სოფლად.** ბაზალეთის (დუშეთის მაზრა) თემაღმასკომმა თემის ყველა სოფლებში დაგზავნა სანიტარული კომისიები, რომელთაც დაევალათ თვალყური ადევნონ სოფლად სისუფთავის დაცვას და ებრძოლონ ავადმყოფობის გამავრცელებელ მიზეზებს.

— **გზის შეკეთება.** ბაზალეთის აღმასკომის მეთაურობით გლეხებმა შეაკეთეს მუხრან-მჭადიჯვრის გზა.

— **თელეთის** (თბ. მაზრა) გლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სხვადასხვა სახის სახელოსნოები ადგილობრივ გლეხობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

— **ახალციხეში** ამ დღეებში გაიხსნება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

სოფლის ფოსტა

სართიჭალა. ვ. ა—ძეს. როცა რამე ნაკლზე სწერთ სოფლის ცხოვრებიდან, საჭიროა მოიყვანოთ ფაქტი. წერილი არ მიდის.

დ. ჩოხატაური დ. შ—ეს კორესპონდენცია არ მიდის. წაიკითხეთ „კომუნისტის“ 30 ივნისის ნომერში მოთავსებული წერილი „ჩვენს კორესპონდენტებს“. წერილების გზავნა განაგრძეთ.

ტირაჟი—21.000

იურიდიული რჩევა-დახმარება

მემკვიდრეობის შესახებ

კითხვა.

ჩემი ძმა პატარაობიდანვე მუშაობდა ქ. თბილისში რკინის-გზის დარგში ფიზიკური შრომის მუშად. დიდი ვაი-ვაგლახით ნაძალადევში მან აიგო ერთი პატარა სამთვალიანი სახლი და მოაწყო იგი შეძლებისდაგვარად ავეჯით. შვილები ჩემს ძმას არ ეყოლა; ჰყავდა ცოლი, რომელიც ეხლაც ცოცხალია. მასთანვე სცხოვრობდნენ ერთი ჩვენი შორეული შრომის უნარმოკლებული ნათესავი 60 წლ. მოხუცი ქალი და ჩემი ძმის ცოლის 14 წლის უპატრონო, ობოლი და ყოველივე ქონებას მოკლებული და. ჩემი ძმა გარდაიცვალა წარსულ წლის შემოდგომაზე უეცრად; თავისი ქონება სიცოცხლის დროს მას ანდერძით არავისათვის არ გადაუცია და აღნიშნულ ქონებით სარგებლობენ ზემოაღნიშნული პირები, მე კი ჩემი ძმის დარჩენილ ქონებიდან არავითარ წილს არ მაძლევენ, პირიქით მოითხოვენ ჩემგან საერთო მამაპაპურ ქონების—(სახლის, ალაგობის, ნაშენის, მიწის და სხ. საქონლის) ჩემ და მათ შორის გაყოფას, ვინაიდან ისინი თავიანთ თავს ასახელებენ ჩემი ძმის პირდაპირ და ნამდვილ მემკვიდრეებად.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას იმის შესახებ თუ 1) ვინ ითვლება გარდაცვლებულ ძმის კანონიერ და პირდაპირ მემკვიდრედ; 2) მაქვს თუ არა უფლება მივიღო რაიმე წილი ჩემი ძმისაგან დარჩენილ ქონებიდან; 3) აქვთ თუ არა უფლება ზემოდასახელებულ პირთ მოითხოვონ ჩემგან მამაპაპური ქონებიდან ის წილი, რომელიც გვეკუთვნოდა პირადი მემკვიდრეობის წესით მე და ჩემს გარდაცვალებულ ძმას?

მიწის მუშა—გო—შლი.

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სასამართლოს კოდექსის მუხ. 418-ისა კანონით, ან ანდერძით სამემკვიდრეოდ გამოიწვევიან (ითვლებიან პირდაპირ მემკვიდრეებად) მხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილისშვილები), გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირი, რომელსაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე ერთ წელიწადზე არა ნაკლებ.

ამ გვარად თქვენი ძმის ქონება ეკუთვნით მემკვიდრეობის წესით იმ პირთ, რომელნიც თქვენ შეკითხვაში დასახელებულნი არიან და არა თქვენ.

მამა-პაპური ქონებიდან, გარდა მიწისა, ვინაიდან ამ უკანასკნელზე არ ვრცელდება მემკვიდრეობითი და საანდერძო უფლებები (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 25) მათ, უდავოდ ეკუთვნით ის წილიც, რაც ეკუთვნოდა მემკვიდრეობის წესით თქვენს ძმას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— მე-2 რაიონული საბჭო იუწყება, რომ დღეს, ოთხშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის ბინაზე გაიმართება რაიონულ საბჭოს სხდომა საჰაერო ფლოტის და ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოებების უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

საბჭოს ყველა წევრების და უჯრედების მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

მე-2 რაიონული საბჭო.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. კვირიკაძესთან:

1. ოშაკმაშვილი ალექსანდრე, 2. ტაბუშვილი ვლადიმერ, 3. სამკუვი სიმონ, 4. შუშინა „მოსშვეი“-ს თბილისის განყოფილებიდან.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
პარასკევს, 3 ივლის ს. დისპუტის გაგრძელება:
პროლეტარული რევოლუცია და ხელოვნება
ნ. 1413 1—1.

ბეჭდვა გათავდა, ერთ კვირაში გამოვა
ჭოლა ლომთათიძის
ნაწერების ორივე ტომი. ვინც 15 ივლისამდე შემოიტანს 4 მ. იმათ ორივე ტომი მიეცემათ გადიდებული სურათით. შემდეგ ეღირება 5 მ. აქედან შეიძლება დაკვეთა ა. რემონიძის 2 წიგნის ფასი 80 კ. და ის. მანწკავას მონოგრაფია ჭოლა ლომთათიძე.
მისამართი—1. სახელგამის მაღაზია 2. „განათლება“ ლენინის 6 ს. თავართქილაძეს.
ნ. 1407 2—1

განათლების კომისარიატის პროფესიონალურ განათლების მთავარმმართველობა

აცხადებს, რომ პროვინციაში (ამბროლაურში, ონში, ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთში, სიღნაღის მაზრაში) არსებულ სპეც-ტეხნიკუმებისთვის მომავალ შემოდგომიდან ესაჭიროება

მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნების მეტყველების და ქართული ენის მასწავლებლები.

აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნებიან სათანადო სპეციალობის უმაღლეს სასწავლებლ. კურსდამთავრებულნი.

მსურველნი მიმართავენ განათლ. კომისარ. ოთახი № 21.

1819 2—1.

ს. მ. უ. ს. სამრეწველო-ეკონომიური განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სამრეწველო დაწესებულებებს, რომ მათი

რეგისტრაციის ვადა

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს № 22 დადგენილებას („კომუნისტი“ № 129 წლ. თარიღით) თავდება 7 ივლისს.

ვინც ამ ვადამდე არ გაატარებს რეგისტრაციაში თავის დაწესებულებას ისინი პასუხს აგებენ ამავე დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად. „დადგენილება ვრცელდება არყის და ღვინის საწყობებზედაც“.

ს. მ. უ. ს. სამრეწვ.-ეკონომიურ განყ. თავმჯდომარის მოადგ. კოლეგიის წევრი ბორკონი.
მდივანი გ. მონიავა.

ნ. 1409. 1—1.

საქობოს თემის
(სიღნაღის მაზრა)
გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება ამით აცხადებს
რომ იგი წნორის წყალის რკინისგზის საქონლის სადგურზე ხსნის
საკომისიონეროს
რისთვისაც ექვს გამოცდილ კომისიონერს
პირობების გაგება შეიძლება სად. წნორის წყალზე საქობოს
ნ. 1408 1—1 გლეხკომის სამმართველოში

6 კაპეიკათ ნამდვილი რძე 6 კაპეიკათ
როზენფელდის (მარიენფელდის) გერმანელთა კოლონიის რძის არტელის დუქნებში და დამტარებლებთან
ექვს (6) კაპეიკათ
ერთი მეოთხედი ლიტრიანი კრუჟკა
6 კაპ. ამა წლის 1 ივლისიდან 6 კაპ.
2—1.

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.
„ცენტროტრამოტი“
საგაზაფხულო სახალხო მიმოსვლა
თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.
კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.
0—12 ნ. 1249

პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი“-ს
ცალკე ხელისმომწერლებმა ფოსტის ბარათზე უნდა გარკვევით აღნიშნონ სახელი, გვარი, მისამართი, გაზეთის [illegible] და გაწერის ვადა.
2. ფოსტის ბარათზე აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს [illegible] ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.
3. კოლექტიური ხელისმომწერლები მოვალენი არიან გადმოგვიგზავნონ სიები ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული.
4. ხელდრი ფულის გადმოგზავნა უნდა ხდებოდეს უთუოდ გაზეთის გამოწერისთანავე.
0—9 გაზ. „კომუნისტი“-ს [illegible] კანტორა.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ა | წ. 4 ივლისს დილის 10 საათზე, (სადგურის ქ. № 1) გაიმართება

შერეული საჯარო ვაჭრობა

ამა წლის საზაფხულო სეზონის განმავლობაში სად. წაღვერის რკინის გზის ახლო მდებარე ადგილებში საკუთარი აპარატებით და მასალებით ფოტოგრაფიულ მუშაობის წარმოების უფლების გაცემაზე.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, ვალდებული არიან ჩააგდონ თავისი განცხადებები დახურულ კონვერტებით იმ ყუთში, რომელიც გამოკიდულია სპეციალურად სამმართველოს დარბაზის კარებთან, ან გამოგზავნონ ასეთები ფოსტით საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „ა | კ. რკინისგზათა სამმართველოს საჯარო ვაჭრობისათვის, რომელიც შესდგება 25 წ. 4 ივლისს ფოტოგრაფიულ სამუშაოს წარმოების უფლების გაცემაზე“. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს შემოსამძლევი საიჯარო ფასი.

განცხადებებს თან უნდა ექნეს დართული:

1) ორი საღერბო მარკა 3 მ. 30 კაპეიკის ღირებულების.

2) ქვითარი გირაოს სახით შემოძლეულ ფასის 10 პროცენტის გადახდის შესახებ.

ამავე დროს მონაწილეობის მიმღებთ ეცნობებათ, რომ ფოტოგრაფიულ სამუშაოების უფლების გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომელიც შეეხება რკინისგზის მეურნეობის ინტერესებს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 12-დან 2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (თბილისი, სადგურის ქ. № 1, ოთახი № 46).

2—1 1410.

მომავალი სასწავლო წლის ნორმალურად დაყენების მიზნით ტფილისის განათლების განყოფილება ამით აცხადებს, რომ ტფილისის ყველა

შრომის სკოლებში მისაღები თხოვნები

მიიღება დღეის რიცხვიდან ივლისის დამლევამდე შემდეგ სკოლებში:

1 რაიონი—მე-33 შრ. სკოლაში (ქართული)— კოოპერატივის ქ., № 17, მე-61 შრ. სკოლაში (რუსული) ალექსანდრეს ქ., № 58.
2 რაიონი—მე-2 შრ. სკოლაში (ქართული)—კამოს ქ. № 52,
მე-47 შრ. სკოლაში (რუსული)—პლეხანოვის პრ. № 40,
მე-81 შრ. სკოლაში (სომხური)—ჩერქეზიშვილის ქ., № 29,
3 რაიონი—მე-4 შრ. სკოლაში (ქართული)—პეტრეპავლეს ქ., № 16,
მე-63 შრ. სკოლაში (რუსული)—კახეთის ქუჩა, № 51,
მე-84 შრ. სკოლაში (სომხური)—ავლაბრის ქ., № 34,
მე-86 შრ. სკოლაში (სომხური)—კახეთის ქუჩა, № 23,
4 რაიონი—მე-8 შრ. სკოლაში (ქართული)—ერმოლოვის ქუჩა, № 13,
მე-20 შრ. სკოლაში (ქართული)—საბურთალო, მასწავლებელთა ყოფილი სახლ. მე-2 ზორანთან,
მე-53 შრ. სკოლაში (რუსული)—საბურთალო, რუსის ქუჩა, № 23,
მე-57 შრ. სკოლაში (რუსული)—ლენინის ქუჩა, № 14,
მე-72 შრ. სკოლაში (სომხური)—ლერმონტოვის ქ., № 8

თხოვნებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები სოციალური მდგომარეობის, წლოვანებისა და განათლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში თხოვნები არ განიხილება.

თხოვნაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იქნეს ის სკოლაც, რომელშიც მოწაფის მიცემა სურთ.

დანარჩენ ერთეულ უმცირესობათა სკოლებში თხოვნები პირდაპირ იმ სკოლაში უნდა იქნენ მიცემული, რომელშიაც შესვლის სურვილი აქვთ.

3—1 ნ. 1411 ტფილისის განათლების განყოფილება.

გომის ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების „გლეხთა-კავშირის“

ბალანსი

აქტივი 1925 წლის 1 ივნისისათვის პასივი

აქტივი		
I. კასა და მიმდინარე ანგარიშები:		
ნაღდი ფული	491—05	
აქციები და პაიები	7411—58	
მიმდინარე ანგარიშები	63—39	7966—02
II. ქონება:		
მოძრავი, უძრავი და სხვ.		80986—41
III. საქონელი:		
საწყობებში	40749—16	
განყოფილებებში	63965—19	104714—35
IV. დებიტორები:		
სახელმწიფო და კოოპერატ. დაწეს.	19804—78	
სხვადასხვა მოვალეები	5671—44	
ანგარიშ ვალდებული პირები	986—97	
თანამშრომლები	1399—15	27862—34
V. საწარმოო დაწესებულებები:		
ელექტრო-სადგურების, წისქვილის, ხე-ტყის სახერხის და სასადილოს ექსპლოატაცია		3298—24
VI. ხარჯები:		
სავაჭრო, სტიქ. უბედურ. და სხვ.		55979—90
		280807—26

პასივი		
I. კაპიტალები:		
ძირითადი	12923—78	
სათადარიგო	1115—33	
საპაიო	1956—98	
სპეციალური	89228—84	105224—93
II. კრედიტორები:		
სახელმ. და კოოპერ. დაწესებ.	82540—35	
სხვადასხვა მიმწოდებლები	3902—69	
თანამშრომლები	581—47	87024—51
III. შემოსავალი:		
მოგება, მიღებული საქონლიდან და სხვ.		85948—08
IV. მოგება და ზარალი:		
გაუნაწილ. მოგების ნაშთი 1924 წლისათვის		2609—77
		280807—26

გამგეობის თავმჯდომარე: ი. რუხაძე.
გამგეობის წევრი: კ. დახილია.
მთავარი ბუხჰალტერი: არ. ოქროევი.
ნის. 1406. 1—1

ელექტრონით და [illegible]
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი [illegible]
მიხეილ [illegible] სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე [illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—18

გამოცდილ მასწავლებელთა ჯგუფი
ამზადებს უნივერსიტეტში და აგრეთვე სხვა სასწავლებლებში. მოლაპარაკება შეიძლება პ. ჩარექიშვილთან ყოველ დღე დილის 9 საათიდან—11 საათამდე. მისამართი: უდელის ქ. № 3. 2—2 № 1790

ექიმი გ. ნ. მაბაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.
25—22

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)
მიღება კაც. 7—8 ს. დილ 7—8 ს. საღ ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.
25—22

ექიმი ი. დ. თოფურიძე
ალიხანოვის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—23

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა — კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—22

ექიმი ა. ს. ფუნ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—21

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. ცალკე ოთახი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—23

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 16, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
25—22

ექიმი დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დილის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროკის ქუჩის კუთხიდან.
25—22

ექიმი გ. გ. მევრაგიანცი
[illegible] მკურნალობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
25—22

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
[illegible] ბაზარი № 3.
25—3

ექიმი მ. ა. ლუკოვსკაია
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—13

ექიმი ვ. ი. შაპელნიკოვი
ელისაბედის ქ. № 7
სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.
მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.
25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
2969 25—2

დაიკარგა სევასტი ივანეს ძე სურმავამ მთლიანი პარტბილეთი № 494,101. ჩ. გ. 1821 (ა) 1—1

დაიკარგა მიხეილ სამსონის ძე ჯოჯუამ მთლიანი პარტბილეთი № 495,656. ჩ. გ. 1821 1—1

დაიკარგა ივანე ბურდღუს ძე ძიძიგურმა მთლიანი პარტბილეთი № 494556. ჩ. გ. 1812 1—1

დაიკარგა ამხ. კაპიტონ პორფილეს ძე ჯანჯღავამ მთლიანი პარტბილეთი № 487487. ჩ. გ. 1821 1—1

დაიკარგა გიორგი კოსტას ძე ხელაიამ მთლიანი პარტბილეთი № 494704. ჩ. გ. 1821 1—1

დაიკარგა კალისტრატე კოსტას ძე წოწორიამ მთლიანი პარტბილეთი № 495.701. ჩ. გ. 1821 1—1

დაიკარგა ნიკოლოზ იორდანეს ძე უჩავამ მთლიანი პარტბილეთი № 494541 ჩ. გ. 1821 1—1

დაიკარგა ფშავლის საკრედიტო ამხანაგობის ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. გამგეობის თავმჯდომარე. 1819 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 და მსახურობის მოწმობა № 124.591 იპოლიტე მიხეილის ძე კაკულიას სახელზე. ჩ. გ. 1820 1—1

დაიკარგა ქუთაისის წ. ნინოს სასწავლებლის 8 კლასის დამთავრების და იმავე სასწავლებელთან არსებულ სამასწავლებლო 9 კლასის დამთავრების მოწმობები ვერა მელქისედეკის ასულის ფალავას სახელზე. ჩ. გ. 1814 1—1

დაიკარგა უბის წიგნაკი გიორგი გაბრიელის ძე ჩომახიძის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს კანტორა „ჩემოს“ შვეიცართან, გასამრჯელო მიიღებს. რუსთაველის პრ, „ჩემოს“ კანტორა. 1815 1—1

ნაპოვნია მამულის ნასყიდობის საბუთი, თამასუქი ათასი მანეთის და სხვადასხვა დოკუმენტები ალ. მ. შახპარონოვის სახელზე. მოიკითხეთ შემდეგი მისამართით: გოგოლის ქუჩა № 60, კოტე უნგიაძე. 1816 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 21782 სერგო ვახტანგოვის სახელზე. ჩ. გ. 1817 1—1

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი № 3068, გიორგი გიორგის ძე ნაცვლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1818 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 810 და აღრიცხვის ბარათი. ტარასი თედორეს ძე მიქაბაძის სახელზე. ჩ. გ. 1822 1—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა ქართულ მესამე ლეგიონიდან მოცემული № 74 ანდრია პარუნის ძე მაისაიას სახელზე. ჩ. გ. 1823 1—1

„ზარია-ვოსტოკა“-ს სტამბა. სამ. წულუკიძის [illegible]